პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 40 (9508) | სამშაბათი, 17 თებერვალი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

აგიტპუნქტი — მოწინავე.

იქ, სადაც კენჭს იყრის დიდი სტალინი (1-ლი გვერდი).

გრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა შემოქმედებითს ორგანიზაციებში — «პრავდის» 15/II მოწინავე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. დ. საბელაშვილი — ორი აგიტკოლექტივი — ორი მაგალითი. ნ. გურგენიძე — სამეცადინო დეკოს პარტიული ორგანიზაციის არჩევნებისათვის მზადების დღეებში (მე-2 გვერდი).

ლ. ზ. მეხლისის დაკრძალვა (მე-2 გვერდი).

ხალხის საყვარელი მხატვარი — 80 წელი სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მოსე თოიძის დაბადებიდან (მე-3 გვერდი).

საზეიმო სხდომა პეკინში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

აგიტპუნქტი

ახლოვდება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე — 22 თებერვალი. რაც უფრო ნაკლები დრო რჩება არჩევნებამდე, მით უფრო იზრდება პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა და ამოცანები, მით უფრო იზრდება მათი მოვალეობა — უზრუნველყონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაჩაღება.

საბჭოთა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ათასობით აგიტატორი და პროპაგანდისტი ყოველდღიურად ესაუბრება მშრომელთა ფართო მასებს პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებსა და ამხანაგ სტალინის კლასიკურ შრომაზე „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, ღრმად განუმარტავს ამომრჩევლებს სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა მოქალაქეების უფლება-მოვალეობას, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობებს კაპიტალისტურთან შედარებით, მოუთხრობს ჩვენი ქვეყნის გრანდიოზულ მიღწევებზე, მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკაზე.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ყველაზე დიდი და მასობრივი საარჩევნო კამპანიაა. ეს თავისებურება განაპირობებს სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის უდიდეს გაქანებას. ამომრჩეველთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ აგიტპუნქტებმა, რომლებიც შექმნილია ყოველ საარჩევნო უბანთან. აგიტპუნქტი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის კერაა. არჩევნების წარმატებით მომზადება და ჩატარება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება დაყენებული მუშაობა საარჩევნო უბნებში, აგიტპუნქტებში. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყველა ზომა მიიღონ იმისათვის, რომ აგიტპუნქტი ნამდვილად წარმოადგენდეს ამომრჩეველთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრს. არ კმარა გამოჰყო აგიტპუნქტისათვის ოთახი, მოაწყო იგი და შეარჩიო აგიტატორები, საჭიროების მუშაობაში მიიზიდო და ჩაება ამომრჩეველთა ფართო აქტივი, მიაღწიო იმას, რომ იქ ხშირად იმართებოდეს საუბრები, იკითხებოდეს ლექციები, უჩვენებდნენ კინოსურათები, ეწყობოდეს ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეკრებები, სისტემატიურად გამოდიოდეს კედლის გაზეთი. მხოლოდ ასეთი მუშაობით არის შესაძლებელი იმის მიღწევა, რომ აგიტპუნქტი ამომრჩეველთა საყვარელ ადგილს წარმოადგენდეს.

აგიტპუნქტის ძირითადი ამოცანებია პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა და მშრომელთა დარაზმვა ამ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. აგიტპუნქტში გაერთიანებულმა აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა და ნდობით აღჭურვილმა პირებმა ამომრჩევლს ღრმად უნდა განუმარტონ სტალინური კონსტიტუციის დიადი პრინციპები, გასწიონ აგიტაცია კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატთა სასარგებლოდ, დაეხმარონ ამომრჩევლებს ზუსტად განახორციელონ სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული საარჩევნო უფლებანი. თვით დეპუტატობის კანდიდატთა, ლენინ — სტალინის პარტიის მიერ აღზრდილ ადამიანთა ბიოგრაფიები შესანიშნავ მასალას აძლევს აგიტატორებს და ნდობით აღჭურვილ პირებს იმისათვის, რომ ფართოდ გაანაღონ აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ, მათ ასარჩევად ადგილობრივ საბჭოებში.

ამოცანა ის არის, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ოპერატიულად უხელმძღვანელონ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიონ აგიტპუნქტების საქმიანობას. მხოლოდ ასეთ ვითარებაშია შესაძლებელი ამომრჩეველთა შორის მაღალიდეური, კონკრეტული და მიზანმიმსწრაფი პოლიტიკური აგიტაციის გაჩაღება. აგიტატორებისა და პროპაგანდისტების საუბრები, მოხსენებანი და ლექციები გამდიდრებულ უნდა იქნას ჩვენი სოციალისტური ცხოვრების შესანიშნავი, მკაფიო ფაქტებით. ყოველი სოფლის, ქალაქის, რაიონისა და ოლქის ცხოვრება რამდენ შესანიშნავ მასალას იძლევა ცოცხალი, ადამიანთა გულშიჩამწვდომი აგიტაციისათვის! სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს აგიტატორისა და პროპაგანდისტის მაღალი იდეურობა, ოსტატობა და უნარი, მინდობილი საქმის სიყვარული და ღრმა ცოდნა.

ისევე როგორც მთელ იდეოლოგიურ მუშაობაში, პოლიტიკურ აგიტაციაშიც მთავარია მაღალი იდეური დონის უზრუნველყოფა. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან უზრუნველყონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართო გაქანება, თვითეული საუბრისა და ლექციის მაღალი იდეური დონე და შინაარსი.

„... თუ ჩვენი სააგიტაციო მუშაობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი თავის უმაღლეს ორგანოებში მტრულ ადამიანებს არ შეუშვებს. მაშასადამე, კი არ უნდა ვიწუწუნოთ, არამედ უნდა ვიმუშაოთ, უნდა ვიმუშაოთ და არა ველოდოთ იმას, რომ ყველაფერი მზამზარეულად მოგვეცემა ადმინისტრაციულ განკარგულებათა წესით“.

ხელმძღვანელობს რა დიდი სტალინის ამ ბრძნული მითითებით, ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ ცუდად როდი მოაწყო აგიტპუნქტების მუშაობა. მაგალითად, ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა ამომრჩეველთა შორის აგიტპუნქტი, რომელიც ბათუმის ჯაფარიძის საარჩევნო უბანთან არის შექმნილი. აგიტპუნქტს, რომელიც 90-მდე აგიტატორს და პროპაგანდისტს აერთიანებს, ყოველდღიურად მრავალი ამომრჩეველი ნახულობს. იგი ლამაზად არის მორთული, აგიტპუნქტში მოწყობილია პარტიის XIX ყრილობის მასალებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილი გამოფენები. მოფიქრებულად არის შედგენილი აგიტპუნქტის სამუშაო გეგმა, მასში გათვალისწინებულია მოსახლეობის ამა თუ იმ ფენის მოთხოვნილებანი.

მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ღრმად ვერ სწვდება პოლიტიკური აგიტაციის შინაარსს, ვერ უზრუნველყოფს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სათანადო გაქანებას, ამასთან საარჩევნო კამპანიაში აგიტპუნქტების როლის აშკარა შეუფასებლობას იჩენს. ამის გამო ზოგან აგიტპუნქტი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ამომრჩეველთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კერას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ პარტიის თელავის რაიკომი. თვით თელავში აგიტპუნქტები ცუდად არ მუშაობენ, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იმ აგიტპუნქტების შესახებ, რომლებიც სასოფლო საარჩევნო უბნებთან არის შექმნილი. მაგალითად, უკანასკნელ დრომდე ფორმალურად არსებობდა და ამომრჩეველთა შორის არავითარ მუშაობას არ ეწევოდა ლაფანყურის აგიტპუნქტი. იმის გამო, რომ აქ შემოღებული არ იყო აგიტატორთა მორიგეობა, აგიტპუნქტის კარი ხშირად გამოკეტილი იყო.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან გადაჭრით აღკვეთონ პოლიტიკური აგიტაციისადმი ფორმალური, კანცელარული მიდგომა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავჯერდეთ გამოყოფილი აგიტატორებისა და მათ მიერ მოწყობილი საუბრების რაოდენობის აღრიცხვას, საჭიროა ღრმად ჩავწვდეთ საქმის არსს, პოლიტიკური აგიტაციის იდეურ შინაარსს.

არჩევნები ახლოვდება — კიდევ უფრო გავაძლიეროთ აგიტპუნქტების მუშაობა! პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მძლავრი გაქანება, დარაზმონ ამომრჩევლები, ყველა მშრომელი დიდი სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობათა შესასრულებლად, მომავალ არჩევნებში კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვების მოსაპოვებლად.

იქ, სადაც კენჭს იყრის დიდი სტალინი

უმაგალითო საწარმოო აქტივობა

უდიდესი სიხარული და აღფრთოვანებაა საოლქო ცენტრის — ქალაქ ქუთაისის მშრომელებში. ისინი ამაყობენ იმით, რომ ამხანაგი სტალინი კენჭს იყრის ქუთაისის საოლქო და საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.

მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა ქალაქის საწარმოებსა და ახალმშენებლობებზე. ეს აღმავლობა განსაკუთრებით იგრძნობა საავტომობილო ქარხანაში, რომლის კოლექტივმა პირველმა დაასახელა დიდი სტალინი საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

№ 1 საარჩევნო ოლქში, სადაც კენჭს იყრის ამხანაგი სტალინი, არის ავტოგიგანტის ვეებერთელა კორპუსები და მუშათა საცხოვრებლები.

არჩევნებისათვის მზადებამ ახალი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა გამოიწვია მეავტომობილეთა შორის. ქარხნის საამქროებსა და მოსახლეობაში 350-ზე მეტი აგიტატორი მუშაობს, ისინი ესაუბრებიან ამომრჩეველს საბჭოთა საარჩევნო კანონზე, ჩვენი ქვეყნის წარმატებებზე, სახელოვანი კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, ამხანაგ სტალინის გენიალურ ნაშრომებზე.

მოწინავე აგიტატორთა შორის არიან ქარხნის წარჩინებული ადამიანები ა. კაშია, მ. მამფორია, ნ. რამიშვილი, ნ. ლომთაძე, შ. კალანდია და სხვები. ავტომატების საამქროში სტახანოველი მ. მამფორია საინტერესო საუბრებს მართავს, ამავე დროს მაღალნაყოფიერი შრომის პირად მაგალითს უჩვენებს მსმენელებს. ამას წინათ მან მორიგი საუბარი მშობლიური ქალაქის ზრდა-განვითარებას მიუძღვნა.

სააგიტაციო მუშაობის ცენტრს წარმოადგენენ საარჩევნო უბნებში შექმნილი აგიტპუნქტები მე-14 საშუალო სკოლაში არსებულ აგიტპუნქტში (ხელმძღვანელი ამხ. შ. გურესაშვილი) სისტემატურად ეწყობა რადიოგადაცემათა კოლექტიური მოსმენა, გაზეთების ხმამაღლა კითხვა, ლექცია-საუბრები. ამ დღეებში დიდძალი ხალხი დაესწრო ლექციას სტალინური კონსტიტუციის დემოკრატიული პრინციპების შესახებ. აგიტპუნქტში სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი.

არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები ცხადყოფენ, რომ ასობით მეავტომობილემ პირნათლად გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება, მაღალი მაჩვენებლებით შეასრულა საწარმოო დავალება.

მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატთა შორის არიან დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც მაღალ ნდობას ღირსეულად ამართლებენ. დადგა რა სტახანოვურ ვახტზე, ქუთაისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ნათელა ცაგარეიშვილმა გადაჭარბებით შეასრულა იანვრის დავალება. გეგმები ორმაგად და უფრო მეტად შეასრულეს საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებმა ბორის ვაშაკიძემ, გერვასი ბარდაველიძემ, შაქრო ჯოჯუამ და სხვებმა.

ქარხნის საამქროებში მომუშავე მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საქმით გაამართლონ დიდი ბელადის ნდობა. მათ დიად მშენებლობებს გაუგზავნეს 70-ზე მეტი თვითსაცლელი ავტომანქანა, კვლავ წარმატებით მუშაობენ საპატიო დავალებათა შესასრულებლად. მეავტომობილენი პირნათლად ანაღდებენ არჩევნებისათვის ნაკისრ ვალდებულებებს. ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა 100,8 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 104 პროცენტით. მეავტომობილეები კარგად მუშაობენ თებერვალშიც.

ქუთაისის მშრომელები უდიდესი სიხარულით მოელიან არჩევნების დღეს, 22 თებერვალს, რომ ერთსულოვნად მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, ხმა მისცენ იმ ადამიანს, ვის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენი გამარჯვება და ვინც მტკიცედ მიგვიძღვის წინ, კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ, — მშობლიურ სტალინს.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად

მინსკი, ბელორუსიის საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეწყობა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექციები და საუბრები. მომხსენებლები და აგიტატორები მოუთხრობენ საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ორგანიზატორებზე ვ. ი. ლენინზე და ი. ბ. სტალინზე, უამბობენ, თუ რა გმირობა მოახდინეს საბჭოთა არმიის მეომრებმა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

სულ უფრო მეტი მნახველი მოდის დიდი სამამულო ომის ისტორიის ბელორუსიის მუზეუმში. აქ წარმოდგენილია ახალი ექსპონატები, რომლებიც აშუქებენ საბჭოთა მეომრების მიერ ბრესტის სიმაგრის გმირულ თავდაცვას 1941 წლის ივნისის დღეებში.

რიგა. საბჭოთა ლატვიის მშრომელები ემზადებიან საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 35 წლისთავისათვის. რიგის ოცი ათასამდე აგიტატორი საწარმოთა საამქროებში, აგიტპუნქტებსა და ამომრჩეველთა ბინებში აწყობს საუბრებს თემებზე: „ლენინი და სტალინი — საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემქმნელნი და ხელმძღვანელნი“, „საბჭოთა არმია მშვიდობის არმიაა“.

ლატვიის სსრ რევოლუციის მუზეუმი და რიგის ისტორიის მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციები შეივსო დოკუმენტებით, რომლებიც გვიხატავენ ჰიტლერელ ოკუპანტთა უღლისაგან საბჭოთა ბალტიისპირეთის მშრომელთა განმათავისუფლებლების — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრების საგმირო საქმეებს. სახელოვანი წლისთავისადმია მიძღვნილი რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში, მუშათა და კოლმეურნეთა კლუბებში მოწყობილი გამოფენები და ფოტოვიტრინები.

14 თებერვალი. (საკდესი).

საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლი პეტროზავოდსკში

პეტროზავოდსკი, 16 თებერვალი. (საკდესი). აქ ჩამოვიდა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. გუშინ გაიმართა პირველი კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლის ხელმძღვანელებმა, სტალინური პრემიის ლაურეატებმა ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის მ. ი. თოიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის სამოცწლიანის დაკავშირებით და საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში მისი დამსახურების აღსანიშნავად მოსე ივანეს-ძე თოიძე დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ა. გოლიკინი.**

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 15 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის მ. ი. თოიძისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრს მოსე ივანეს-ძე **თოიძეს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო მხატვრის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ა. გოლიკინი.**

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 15 თებერვალი.

განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა შემოქმედებითს ორგანიზაციებში

„პრავდის“ 15/II მოწინავე

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დაუსახა პარტიის XIX ყრილობამ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს. ისინი მოწოდებული არიან დაეხმარონ პარტიას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, აღფრთოვანონ თავიანთი შემოქმედებით მილიონობით ადამიანი ლენინ — სტალინის დიადი იდეების გამარჯვებისათვის საბრძოლველად. ისინი მოვალენი არიან შექმნან მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებნი, მართლად ასახონ ამ ნაწარმოებებში ჩვენი ქვეყნის მჩქეფარე ცხოვრება, უჩვენონ მიბაძვის ღირსი მკაფიო დადებითი სახეები.

აქტიურად უწყობენ რა ხელს ყოველივე ახლის, ნათელის, პროგრესულის ზრდასა და განმტკიცებას, ჩვენი მხატვრები უნდა იბრძოდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, გაბედულად ამოძრახეს მანკიერებას და ნაკლოვანებებს, ამხილებდნენ ყალბ ადამიანებს, მოლაყბეებსა და დოყლაპიებს, ხელს უწყობდნენ იმას, რომ ამოძირკოს, სატირის ცეცხლით ამოიწვას ყოველივე დახავსებული და გაჭაობებული, რაც კი ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. ჩვენთვის საჭიროა ნაწარმოებნი, რომლებიც საბჭოთა ხალხს უნერგავენ მაღალ რევოლუციურ სიფხიზლეს, შეურიგებლობას უდარდელობისა და უზრუნველობის თუნდაც ოდნავი გამოვლინებისადმი. ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებით განვითარების პირობაა პრინციპული კრიტიკის ყოველმხრივ გაშლა. ამ დიდმნიშვნელოვანი იდეოლოგიური უბნის მუშაკები უნდა ხელმძღვანელობდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის ბრძნული მითითებით იმის შესახებ, რომ ვერავითარი მეცნიერება ვერ განვითარდება და წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ არ არის აზრთა ბრძოლა, თუ არ არის კრიტიკის თავისუფლება.

პარტია მოუწოდებს ყველა შემოქმედებითს მუშაკს დაუცხრომლად აუმჯობესონ თავიანთი ოსტატობა, აიმაღლონ შემოქმედების იდეურ-მხატვრული დონე. „ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების წინაშე მდგომი მაღალი და კეთილშობილი ამოცანა, — ამბობდა ამხ. გ. მ. მალენკოვი პარტიის XIX ყრილობაზე, — შეიძლება წარმატებით გადავწყვიტოთ მხოლოდ მაშინ, თუ გადამწყვეტ ბრძოლას გავაჩაღებთ ხალტურის წინააღმდეგ ჩვენი მხატვრებისა და ლიტერატორების მუშაობაში, თუ ულმობლად აღმოვფხვრით სიყალბესა და სიდამპლეს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში... ჩვენი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, კინემატოგრაფიის მუშაკების ვალია უფრო ღრმად შეისწავლონ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება, შექმნან ჩვენი დიადი ხალხის შესაფერისი დიდი მხატვრული ნაწარმოებნი“.

კარგ ნაწარმოებებთან ერთად, რომლებსაც ხალხი იწონებს, ჩვენში ჯერ კიდევ ხშირად იქმნება მდარე, უფერული ნაწარმოებნი, რომლებიც არაფერს ეუბნებიან მკითხველისა და მაყურებლის არც გონებას, არც გულს. ასეთი ნაწარმოებების შექმნა საგრძნობწილად იმით აიხსნება, რომ შემოქმედებითს ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ძალიან ნაკლებად და გაუბედავად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, ხშირად დუმილით უვლიან გვერდს შემოქმედებისადმი ხალტურული, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს. ურთიერთშექების, გარეგნული, მოჩვენებითი კეთილდღეობის, ნაკლოვანებათა ძმაბიჭურად დაფარვის, კრიტიკისათვის ანგარიშის გაუწევლობის ატმოსფეროში ვერ გაიფურჩქნება მხატვრული შემოქმედება.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ტალანტის ერთგული, საიმედო მეგობარი და თანამგზავრია. მ. გორკიმ, ვ. მაიაკოვსკიმ, კ. სტანისლავსკიმ გვიჩვენეს თავიანთი შრომისადმი მომთხოვნელი, კრიტიკული, ნამდვილი მოქალაქეობრივი დამოკიდებულების მაგალითები. კულტურის ყველა ჩვენი ოსტატი უნდა სწავლობდეს ამას, იცავდეს ამ საუცხოო ტრადიციას. ჩვენი ეპოქის უნიკალური პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი წერდა:

Нам
критика
из года в год
нужна,
запомните,
как человеку —
кислород,
как чистый воздух —
комнате.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ნაცადი, ქმედითი იარაღია, რომელიც გვეხმარება გამოვამჟღავნოთ და აღმოვფხვრათ შეცდომები და ნაკლოვანებანი, მივაღწიოთ ახალ აღმავლობას მუშაობაში. პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ კრიტიკას და თვითკრიტიკას შემოქმედებითს კავშირებში, აღზრდონ მხატვრები ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, მხარი დაუჭირონ ყოველ კრიტიკულ გამოსვლას, რომელიც ხელს უწყობს ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ აღმავლობას.

იქ, სადაც კრიტიკა და თვითკრიტიკა თან არ ახლავს შემოქმედებითი ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობის ყოველ ნაბიჯს, არ შეიძლება გვქონდეს მუშაობაში წარმატების მიღწევის იმედი. ამას ხშირად ივიწყებენ საბჭოთა მწერლების კავშირში, სადაც ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა. ახალ ნაწარმოებთა განხილვა, იშვიათი გამონაკლისით, ხდება დაბალ იდეურ დონეზე, ხოლო ზოგჯერ ხოტბის ვითარებაშიც. საქმე იქამდე მიდის, რომ უპასუხისმგებლო კრიტიკოსები მაამებლობას იჩენენ და თითქმის კლასიკოსებს უყენებენ გვერდში მწერლებს, რომლებსაც არც თუ თვალსაჩინო ნაწარმოებნი დაუწერიათ. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ თავმდაბლობას მოკლებული ზოგიერთი ლიტერატორი თვითკრიტიკის ნაცვლად ამჯობინებს თვითრეკლამას მიმართოს. ამნაირ თავიდან იშორებენ კრიტიკას, ქმნიან არაჯანსაღ ხმაურს თავიანთ ნაწარმოებთა გარშემო.

უდარდელობისა და თვითდამშვიდების განწყობილებას ვხვდებით კინემატოგრაფიის სამინისტროში, რომელიც ცუდად იყენებს ჩვენი შესანიშნავი მოწინავე კინოხელოვნების უმდიდრეს შესაძლებლობებს და ნაკლებად უშვებს საბჭოთა საზოგადოების მრავალფეროვანი ცხოვრების ამსახველ ახალ მხატვრულ ფილმებს. სამინისტროს ხელმძღვანელობა ხუსტად მუშაობს შემოქმედების საკითხებზე, თავის მუშაობაში საკმაოდ ვერ ეყრდნობა ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო, მოწინავე მოღვაწეებს.

საბჭოთა მხატვრების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის პლენუმზე, რომელიც ამას წინათ მოეწყო, ბევრი რამ ითქვა მხატვრული კრიტიკის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე. კავშირის ხელმძღვანელები ვერ ქმნიან ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ ფართოდ და თავისუფლად გაჩაღდეს კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომ დაირაზმონ კავშირის მთელი შემოქმედებითი ძალები. ეჭვი არ არის, რომ ნაკლოვანებათა პირდაპირი და პირუთვნელი კრიტიკა ხელს შეუწყობდა საქმიანობის გამოცოცხლებას სამხატვრო აკადემიაშიც, სადაც ჯერ კიდევ მეტად გაუბედავად და არამტკიცედ გაისმის კრიტიკის ხმა.

თვითეული შემოქმედებითი ორგანიზაციის პირდაპირი მოვალეობაა ჩაუნერგოს მხატვრებს მათი საქმიანობისადმი მაღალი მომთხოვნელობა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ უკანასკნელ დროს დაწერილი ზოგიერთი რომანი, პოემა, პიესა, ცალკეარი, მუსიკალური ნაწარმოები უფრო სრულფასოვანი იქნებოდა იდეურად და მხატვრულად, ავტორები რომ არ ჩქარობდნენ მათს გამოქვეყნებას, რომ უფრო სრულად ამუშავებდნენ ხელდახელოდ მოხაზულ ხასიათებს, გულმოდგინედ აზუსტებდნენ და ხვეწდნენ მხატვრულ ხაშუალებებს, უზრუნველყოფდნენ თვითეული სიტყვის აწონდაწონას, ნაწარმოებში ყველა, თვით წვრილმანი დეტალის მოფიქრებას.

ხალხის წინაშე თავისი შემოქმედებისათვის უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალული თვითეული საბჭოთა ლიტერატორი, მხატვარი, კომპოზიტორი, მსახიობი, რეჟისორი. შემოქმედებითს ორგანიზაციებში შეუწყნარებელია შემრიგებლური, უდარდელი დამოკიდებულება ყოყოჩობისა და ქედმაღლობის ოდნავი გამოვლინებისადმი, შეუწყნარებელია საზოგადოებრივი ინტერესების დავიწყება. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ უფრო მაღალი, ვიდრე ხალხის, სოციალისტური სამშობლოს ინტერესებია.

ჩვენს კრიტიკას — ლიტერატურულ, თეატრალურ, მუსიკალურ, მხატვრულ კრიტიკას შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობის გამოცოცხლებისა და ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის. იგი მოვალეა მხურვალედ დაუჭიროს მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ტალანტების ზრდას, გავითვალოს შემოქმედებითი შემართება, გადაჭრით გაილაშქროს რუტინის, დამყაყებულობისა და მოდუნების წინააღმდეგ. ჩვენს მხატვრებს ესაჭიროებათ მათი შემოქმედების სერიოზული, დაკვირვებული და ღრმა ანალიზი, მომთხოვნელი, პრინციპული კრიტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ახეთ კრიტიკას ისინი ყოველთვის როდი ხვდებიან თავიანთი ეურნალების „ისკუსსტვოს“, „ტეატრის“, „სოვეტსკაია მუზიკის“, „ისკუსსტვოზნანიის“, ავრეთვე გაზეთების „სოვეტსკოე ისკუსსტვოს“ და „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე. ამ ორგანოებში ჯერ კიდევ ქვეყნდება სტატიები, რომლებშიც ხაანალი პროფესიული კრიტიკა ზოგჯერ შეცვლილია გულმოწყალე ქება-დიდებით, რომელიც ნაკლებად შველის საქმეს. მათს ფურცლებზე უფრო გაბედულად და ღრმად უნდა დავსვათ მხატვრული შემოქმედების ძირითადი საკითხები, დავამუშაოთ საბჭოთა ესთეტიკის ისეთი საარსებო პრობლემები, როგორიც არის ტიპიურობის პრობლემა, საბრძოლო ეანრის განვითარების პრობლემა, საბალეტო ეანრის განვითარების პრობლემა და სხვა პრობლემები. ამ თეორიული პრობლემების დამუშავება ხელს შეუწყობს შემოქმედებითი მუშაობის იდეური დონის ამაღლებას, უკონფლიქტობის მანკიერი თეორიის გავლენის კვალის ბოლომდე აღმოფხვრას.

შემოქმედებითს კავშირებში იშვიათად იმართება დისკუსია ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგრამ როგორც ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების ძირითადი საკითხების შესასწავლად ამას წინათ გამართული თათბირი გვიჩვენებს, ასეთი დისკუსიები კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ შემოქმედებითს მუშაობაზე. ისინი ბევრ ახალ რამეს გვმატებენ, ავლინებენ ახალ ახალგაზრდა ძალებს, აყენებენ ახალ სახიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს, ხელს უწყობენ იმას, რომ შემოქმედების გზაზე აღიგავოს ყველაფერი, რაც კი დამპალი და უვარგისია.

ლიტერატურა და ხელოვნება იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი უბანია. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ამ უბანს, უფრო ღრმად სწვდებოდნენ შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობას, ყოველი ღონისძიებით ავითარებდნენ ამ ორგანიზაციებში პრინციპულ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ლენინ — სტალინის პარტიის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ზრდიდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს. შემოქმედებითი მუშაკების მთელი არმიის პატრიოტული მოვალეობაა შექმნან დიადი სტალინური ეპოქის, კომუნიზმის მშენებელი ჩვენი გმირი ხალხის შესაფერისი ნაწარმოებნი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლისათვის სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის მ. ი. თოიძის სახელის მიკუთვნების შესახებ

მიეკუთვნოს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის მოსე ივანეს-ძე თოიძის სახელი თბილისის № 11 სამხატვრ

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ორი აგიტკოლექტივი — ორი მაგალითი

თავის მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე ამხ. გ. მალენკოვმა აღნიშნა, რომ „საჭიროა განვავითაროთ და სრულყოთ სოციალისტური კულტურა, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, წარვმართოთ იდეურ-პოლიტიკური ზეგავლენის ყველა საშუალება, ჩვენი პროპაგანდა, აგიტაცია, ბეჭდვითი სიტყვა კომუნისტების იდეოლოგიური მომზადების გასაუმჯობესებლად, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის პოლიტიკური სიფხიზლისა და შეგნებულობის ასამაღლებლად“. ამ მითითების საფუძველზე დაიწყო თავისი მუშაობის გარდაქმნა ტყიბულქვანახშირის ტრესტის მოლოტოვის სახელობის შახტის აგიტკოლექტივმა, რომელსაც პარტბიუროს მდივანი ამხ. ტ. გაბრიჭიძე ხელმძღვანელობს.

„აგიტატორის ბლოკნოტში“ გამოქვეყნებული თემატიკის, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ადგენს ყოველთვიურ სამუშაო გეგმას, რომელსაც იხილავს და ამტკიცებს შახტის პარტბიურო. გეგმის მიხედვით აგიტკოლექტივის მეცადინეობა ეწყობა თვეში 4-ჯერ — ყოველ ხუთშაბათს. მეცადინეობაზე აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი აგიტატორებს ესაუბრება სააგიტაციო თემებზე, აძლევს მათ მეთოდურ რჩევა-დარიგებას საუბრების მოწყობის შესახებ.

ამასთან ერთად ყოველ მეცადინეობაზე ხდება მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების განხილვა და განზოგადება. მაგალითად, გასული წლის მეოთხე კვარტალში 13-ჯერ მოეწყო აგიტატორთა მეცადინეობა, მოსმენილ იქნა 17 აგიტატორის მოხსენებანი მათი მუშაობის შესახებ.

ამას წინათ ჩატარებულ მეცადინეობაზე მოწინავე აგიტატორებმა ი. მაწკეპლაძემ, ვ. ქარქაშაძემ, შ. ჩუბინიძემ და სხვებმა ილაპარაკეს თავიანთი გამოცდილების შესახებ. გამოცდილების გაზიარების მიზნით მეცადინეობის დამთავრების შემდეგ 10 აგიტატორი დაესწრო მოლოტოვის ქუჩაზე მეშახტეთა № 1 საერთო საცხოვრებელში აგიტატორ ი. ლოსაბერიძის საუბარს.

აგიტატორის საუბარი ეხებოდა ამხ. გ. მალენკოვის მოხსენების მეორე თავს — „საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა“. საუბარი კიდევ უფრო საინტერესო გახდა, როცა აგიტატორი შახტის ყოველდღიურ ცხოვრებას შეეხო.

— ორიოდე სიტყვა მუშკუდიანისა და შჩერბაჩენკოს სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, — თქვა მან, — თქვენ კარგად იცნობთ რუბენ მუშკუდიანს, რომელიც სამთო-სამრეწველო სკოლიდან მოვიდა ჩვენს შახტში სამუშაოდ. იგი ქვანახშირის მოწინავე მნგრეველია. რუბენმა შეჯიბრებაში გამოიწვია მოძმე უკრაინის რესპუბლიკის ქვანახშირის ტრესტის „ალექსანდრიაუგოლის“ № 2 შახტის სტახანოველი ივანე შჩერბაჩენკო, რომელმაც სიხარულით მიიღო ქართველი მეშახტის გამოწვევა.

აგიტატორმა რაიონული გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი“ გადაშალა და მუშკუდიანისა და შჩერბაჩენკოს წერილები წაიკითხა. ორი მოძმე მეშახტის მეგობრული გრძნობით გამთბარმა წერილებმა მეშახტეთა პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია. ბევრმა გამოთქვა სურვილი — არ ჩამოვრჩებით რუბენს, ჩვენც ორ-ორ ნორმას გავანადგურებთო.

მორიგი სააგიტაციო საუბარი ი. ლოსაბერიძემ კვლავ ყრილობის მასალების პროპაგანდას მიუძღვნა და დასასრულ ქვანახშირის ამოღების საკითხებს შეეხო.

აგიტატორმა ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, რომ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად მოლოტოვის სახელობის შახტმა აიღო ინიციატივა — მოეწყოს მეშახტეთა სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის. ეს შახტის კოლექტივს ავალებს ახალი ძალით გაშალოს მუშაობა, ქვანახშირის ამოღების შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

აგიტატორმა საუბარი დაამთავრა და აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე წავიდა. მეცადინეობაზე აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ტ. გაბრიჭიძე აგიტატორებს ესაუბრა ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესახებ. საუბრის დამთავრების შემდეგ აგიტატორებმა თავიანთი შენიშვნები გააკეთეს. აგიტატორმა ი. ბუნერიდიმ აღნიშნა, რომ ახალგაზრდებს ძალიან აინტერესებთ ლექცია ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომის შესახებ. აგიტატორმა დ. გერმანოზაშვილმა თქვა, რომ მეშახტეებს აინტერესებთ აგრეთვე ლექციები დიდი სტალინის ახალი ნაშრომის მეშვიდე თავის — თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონების შესახებ.

აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ჩაინიშნა ეს მოთხოვნები. შახტის პარტბიუროს სხდომაზე მოიწონეს აგიტატორების მიერ დაყენებული საკითხები და შეარჩიეს ლექტორები.

პირველი ლექცია მოეწყო ახალგაზრდა მეშახტეთა საერთო საცხოვრებელში. ლექტორმა ტ. გაბრიჭიძემ საინტერესოდ წაიკითხა ამხანაგ სტალინის ნაშრომისადმი მიძღვნილი ლექცია.

№ 6 მეშახტეთა საერთო საცხოვრებელ სახლში აგიტატორ დ. გერმანოზაშვილთან ერთად გამოცხადდა შახტის მთავარი ინჟინერი ამხ. გ. რაზმაძე, რომელმაც წაიკითხა ლექცია თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონების შესახებ.

მოკლე, მაგრამ საინტერესო საუბრები იმართება შახტში სამუშაოდ წასასვლელად შეკრებილ მუშებთან. აგიტატორები — სამთო ინჟინერები ა. ბარამიძე და ა. გოგიძე 15-წუთიან საუბრებს აწყობენ ყოველი ცვლის სამუშაოზე გასვლის წინ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საუბრებს ღამის ცვლებში, როცა გამანაწილებელში იკრიბებიან შახტში წასასვლელად მომზადებული მუშები. საუბრების ძირითადი თემაა ახალ გაზეთებში გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი ამბები, შახტის ცალკეული ცვლებისა და ბრიგადების მუშაობის შედეგების გაცნობა. მაგალითად, ა. ბარაბაძემ სამივე ცვლის მეშახტეებს გააცნო ტყვარჩელის ანიბლარის № 4 შახტის კოლექტივის პატრიოტული მოწოდება საქართველოს მეშახტეებისადმი — ქვანახშირის ამოღების ხუთწლიანი გეგმა შეავასრულოთ ოთხ წელიწადში!

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით შახტის პარტბიურომ დამატებით გამოჰყო 17 აგიტატორი. ამჟამად მოლოტოვის სახელობის შახტაში უაგიტატოროდ არც ერთი უბანი, ცვლა, ბრიგადა, არც ერთი დასახლებული პუნქტი არ არის დარჩენილი.

მაგრამ ასე როდი მუშაობს ტყიბულშახტმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს აგიტკოლექტივი, რომელსაც ამხ. ი. კობახიძე ხელმძღვანელობს. მართალია, აგიტატორთა მეცადინეობა კვირაში ერთხელ ეწყობა, მაგრამ მეცადინეობაზე 21 აგიტატორიდან მხოლოდ 13-14 ესწრება. სისტემატურად აცდენენ მეცადინეობას აგიტატორები გ. პირტახია, ლ. ვასილიევა, ო. გვენეტაძე. მშენებლობაზე მომუშავე ქალთა ბრიგადაში, სადაც აგიტატორად გამოყოფილია ლ. ვასილიევა, ერთ თვეზე მეტია არ გამართულა საუბარი.

რა ღონისძიებებს სახავს პარტბიუროარჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მუშაობის გაუმჯობესებისათვის?

— სისტემატურად ვიხილავთ აგიტკოლექტივის მუშაობის საკითხებს, ვსახავთ ღონისძიებებს, მაგრამ მაინც ვერაფერი გავაწყეთ, — უმწეოდ აცხადებს პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. ბოჭორიშვილი. პარტიულმა კრებამ მოისმინა აგიტკოლექტივის ხელმძღვანელის მოხსენება და მიიღო სათანადო დადგენილება. მაგრამ პარტბიურომ ვერ უზრუნველყო მიღებული დადგენილების განხორციელება და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება.

სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩაშლა გავლენას ახდენს სამმართველოს საქმიანობაზეც. დაუსრულებლად ჭიანურდება მშენებლობის ვადები, ირღვევა დაწყებულ სამუშაოთა დამთავრების გრაფიკი, დაბალია შრომის ნაყოფიერება, გაჩაღებული არ არის ბრძოლა საშენ მასალათა მომჭირნეობით ხარჯვისათვის, მშენებლობის გაიაფებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ბინათმშენებლობის სამმართველო დიდი სამშენებლო ორგანიზაციაა ტყიბულში. მშენებელ მუშათა შორის საადგილო-მასობრივი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე აყვანა პირველადი პარტიული ორგანიზაციისა და პარტიის ტყიბულის რაიონული კომიტეტის უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა გადაიქცეს.

დ. საბელაშვილი,
„ტყიბულის მაღაროელის“ რედაქციის მდივანი.

ს ა ე ლ მ ა ვ ლ ო დ ე პ ო ს პ ა რ ტ ი უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ზ ა დ ე ბ ი ს დ ღ ე ებ ს ი

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გააძლიერა სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა ხაშურის საელმავლო დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი გ. ნოზაძე). დეპოს საამქროებსა და მუშათა საერთო საცხოვრებლებში 50 აგიტატორი ეწევა სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას. აგიტატორები — ფ. ყიფიანი, გ. გელაშვილი, ბ. კვლიშვილი და ა. ფცქიალაძე ამომრჩევლებს ესაუბრებიან არჩევნების დებულებაზე, სტალინურ კონსტიტუციაზე, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე, აგიტატორთა დახმარებით დიასახლისებმა გამოუშვეს კედლის გაზეთი „ამომრჩეველთა ხმა“.

საწარმოს ბევრი წარჩინებული ადამიანი მუშაობს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში. მათ შორის არის უფროსი მემანქანე ი. ნემსაძე, რომელსაც ოსტატურად დაჰყავს მძიმე წონის მატარებელი. შარშან მან გეგმის გადამეტებით ათასზე მეტი ტონა ტვირთი გადაზიდა. წელსაც განაგრძობს უწუნოდ და შეუფერხებლად მძიმე წონის მატარებელთა ტარებას. საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებად დამტკიცებული არიან დეპოს უფროსი გ. სტეფანოვი და მთავარი ინჟინერი ნ. რუხაძე. მათ საუკეთესოდ მოაწყეს თავიანთი საარჩევნო უბნები.

დეპოს სახელმოხვეჭილი მემანქანე ი. ლაბაძე დასახელებულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

მეელმავლეთა კოლექტივმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი და ახლა კიდევ უფრო აძლიერებს მუშაობის ტემპს. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელა დეპოს კომკავშირული კომიტეტის მდივანმა, ახალგაზრდა მემანქანემ მ. ტყეშელაშვილმა. ივნვარში სტახანოველმა მ. ტყეშელაშვილმა 24 კილომეტრით გაზარდა ელექტრომავლის სადღეღამისო გარბენა და 2 კილომეტრით — ტექნიკური სიჩქარე. მისი თაოსნობით შეგროვებულია და სახელმწიფოს ჩაბარდა 24 ტონა ლითონის ჯართი.

დეპოს მოწინავე ადამიანები — ზეინკლები — ლ. მანჩხაშვილი, ზ. ელიაშვილი, ი. აბაიაძე, ბრიგადირი ნ. ნოზაძე, შემდუღებელი ა. ქურდაძე, მჭედელი გ. რევაზიშვილი ყოველდღიურ დავალებებს 220-250 პროცენტით ასრულებენ.

ამ შრომითი წარმატებების მოპოვებაში დიდ როლს ასრულებენ აგიტატორები, რომლებიც მართალი კომუნისტური სიტყვით ახალი საწარმოო მიღწევებისათვის აღაფრთოვანებენ მუშებს.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თ ა თ ბ ი რ ი ს ა ა გ ი ტ ა ც ი ო მ უ შ ა ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ებ ზ ე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონული კულტურის სახლში მოეწყო ნდობით აღჭურვილი პირების, აგიტპუნქტების გამგეების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტატორების რაიონული თათბირი, რომელმაც მოისმინა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პროპაგანდისტის და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ა. ლომთაძის მოხსენება — ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ფეროშენადნობთა ქარხნის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა მ. რაზმაძემ, ნდობით აღჭურვილმა პირმა ა. ბოჭორიშვილმა (სოფელი მეორე სვირი), აგიტპუნქტების გამგეებმა ა. ჭუმბურიძემ (სოფელი ბოსლევი), რ. თუთბერიძემ (სოფელი ფუთი) და სხვებმა. თათბირზე სიტყვით გამოვიდა პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე.

თათბირმა დასახა ღონისძიებანი რაიონში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

შ ე ხ ვ ე დ რ ა დ ე პ უ ტ ა ტ ო ბ ი ს კ ა ნ დ ი დ ა ტ თ ა ნ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს გულთბილად ხვდებიან. 500-ზე მეტი ამომრჩეველი დაესწრო ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში შემდგარ წინასაარჩევნო კრებას. ნდობით აღჭურვილმა პირმა, კომბინატის დირექტორმა ამხ. ბ. ჯანაშიამ განაცხადა, რომ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება ყველგან დიდი წარმატებით მიმდინარეობს. საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებითა და ი. ბ. სტალინის გენიალური შრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები სოციალისტურ შეჯიბრებას ახალი ძალით აჩაღებენ მეხუთე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

— ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის ჩვენი კანდიდატი ნუცა სპირიდონოვასული ფარცვანია, — ამბობს ამხ. ჯანაშია, — თქვენთვის კარგად არის ცნობილი. იგი ჩვენი წარმოების მოწინავე მუშაკია. კომბინატის ქაღალდის ფაბრიკის დამხარისხებელი ბრიგადა ნ. ფარცვანიას ხელმძღვანელობით დავალებებს სისტემატურად სიგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს. ბრიგადამ იანვრის გეგმა 130 პროცენტით შეასრულა.

ამხ. ბ. ჯანაშიამ დაწვრილებით ილაპარაკა ნ. ფარცვანიას სტახანოვურ შრომაზე, დაახასიათა ის როგორც აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი და რწმენა გამოთქვა, რომ ნ. ფარცვანია საქმით გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, პირნათლად შეასრულებს ხალხის მსახურის საპატიო მოვალეობას.

ნუცა ფარცვანია, როგორც დეპუტატობის ღირსეული კანდიდატი, დაახასიათეს წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვით გამოსულებმა, ფართო მოხმარების საამქროს მექანიკოსმა ლ. ყოლანდარიამ, პ. კონოვალენკომ, შ. ჯანტურიამ და სხვებმა.

დეპუტატობის კანდიდატმა ნ. ფარცვანიამ დამსწრეებს პირობა მისცა, რომ გაამართლებს ამომრჩეველთა ამ მაღალ ნდობას.

ლ. ზ. მ ე ხ ლ ი ს ი ს დ ა კ რ ძ ა ლ ვ ა

15 თებერვალს მოსკოვის მშრომელნი უკანასკნელად გამოეთხოვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს ლევ ზაქარიას-ძე მეხლისს.

დღის 12 საათზე დაიწყო მშრომელთა შესვლა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. მაღალ პოსტამენტზე, ყვავილებში დადგმულია ურნა განსვენებულის ნეშტით. წინ არის ლ. ზ. მეხლისის დიდი პორტრეტი, ატლასის ბალიშებზე — ლენინის ოთხი ორდენი, ორი წითელი დროშის ორდენი, სუვოროვის I ხარისხის ორდენი, კუტუზოვის I ხარისხის ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორდენი და მედლები, რომლებითაც ლევ ზაქარიას-ძე დაჯილდოებული იყო საბჭოთა სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის.

ათასობით მოსკოველი მოვიდა, რათა გამოსთხოვებოდა კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილს ლევ ზაქარიას-ძე მეხლისს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მოანდომა საბჭოთა ხალხის სამსახურს.

განუწყვეტლივ გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. ყოველ ხუთ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. სამგლოვიარო ვახტზე დგანან საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მთავრობის წევრები და დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრები, მარშლები, გენერლები და ადმირალები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, სტალინური პრემიის ლაურეატები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

ურნას, რომელშიც ლევ ზაქარიას-ძე მეხლისის ნეშტია, ნელი ნაბიჯით ჩაუარეს დედაქალაქის საწარმოთა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დელეგაციებმა. მათ შემოაქვთ ახალი გვირგვინები. მოიტანეს დიდი გვირგვინი გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო კოლეგიისა და თანამშრომელთა კოლექტივისაგან, სადაც მთელი რიგი წლების მანძილზე მუშაობდა ლევ ზაქარიას-ძე და აქტიურად იბრძოდა ლენინ — სტალინის პარტიის საქმისათვის. დარბაზშია გვირგვინები — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საშტატო კომისიისაგან, რომლის თავმჯდომარეც იყო ლ. ზ. მეხლისი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისაგან, ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიისაგან და სხვ.

რათა გამოსთხოვებოდნენ ლ. ზ. მეხლისს, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე კომუნიზმის მშენებლობას მოახმარა, ურნას სამი საათის განმავლობაში ჩაუარეს მუშებმა და მოსამსახურეებმა, საბჭოთა ინტელიგენციამ, მოსწავლეებმა, საბჭოთა არმიის მეომრებმა.

გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია. საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ს. ხრუშჩოვი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერუხინი, ნ. ნ. მელნიკოვი, ა. ბ. ალიხანოვი, ა. ი. სუსლოვი, მ. თ. შკირატოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ვ. ა. მალინოვსკი, ა. ბ. არისტოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ნ. მ. პეგოვი, ი. თ. თევოსიანი, ა. მ. ვასილევსკი, ს. მ. ბუდიონი, ნ. გ. კუზნეცოვი, ა. თ. გორკინი და სხვები.

ურნას ფრთხილად იღებენ პოსტამენტიდან და მიაქვთ დარბაზიდან. მწუხარე დუმილით მიდიან განსვენებულის ნათესავები და მახლობლები, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის წევრები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის გენერლები და ადმირალები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები...

ოხრტონი რიაღისა და მანეჟის მოედნის გაყოლებით ჩამწკრივებულია ჯარის საპატიო ესკორტი. სამგლოვიარო მარშით მიემართება პროცესია წითელი მოედნისაკენ. აქ ჩამწკრივებულან ჯარის ნაწილები. ბევრი მოსკოველი მოვიდა იმისათვის, რომ უკანასკნელად გამოეთხოვოს კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილს გენერალ-პოლკოვნიკ ლ. ზ. მეხლისს.

ურნა ლ. ზ. მეხლისის ნეშტით იდგმება ლენინის მავზოლეუმის პირდაპირ. მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და სსრ კავშირის მთავრობის წევრები.

იწყება სამგლოვიარო მიტინგი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ა. თ. გორკინი.

ამხ. ა. თ. გ ო რ კ ი ნ ი ს სიტყვა

ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა ხალხი ეთხოვება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს ამხანაგ ლევ ზაქარიას-ძე მეხლისს.

ლევ ზაქარიას-ძე მეხლისის ცხოვრების გზა ხალხისადმი უანგარო სამსახურის, სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულების მაგალითია. იგი იყო ლენინ — სტალინის პარტიის დიადი იდეების განხორციელებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის შეუდრეკელი მებრძოლი.

ჰაბუკობის წლებიდან დაიწყო ამხანაგმა მეხლისმა შრომითი საქმიანობა. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი არმიაში მსახურობდა.

1918 წლის მარტში, მალე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ამხანაგი მეხლისი შედის კომუნისტური პარტიის რიგებში და მას შემდეგ, პარტიისა და მთავრობის დავალებით, დაუცხრომელ მუშაობას ეწევა საბჭოთა არმიაში, სახელმწიფო ორგანოებში, პარტიულ აპარატში.

სამოქალაქო ომის წლებში ამხანაგი მეხლისი, რომელიც იყო ბრიგადის, დივიზიისა და ჯარების მარჯვენა ნაპირის ჯგუფის სამხედრო კომისარი უკრაინაში, აქტიურ მონაწილეობას იღებს წითელი არმიის განმტკიცებაში, ხელს უწყობს მის საბრძოლო წარმატებებს თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ლევ ზაქარიას-ძე მეხლისი ხელმძღვანელ მუშაობას ეწევა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში, ხოლო შემდეგ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

1930 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ მეხლისს გზავნის სამუშაოზე გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში. ასრულებს რა პასუხსაგებ სამუშაოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში, იგი შეურიგებელ ბრძოლას ეწევა პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტრების წინააღმდეგ, იცავს ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზს.

1934 წელს პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგი მეხლისი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, ხოლო XVIII და XIX ყრილობებზე — ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1937 წლიდან 1940 წლამდე ლევ ზაქარიას-ძე მეხლისი მეთაურობს წითელი არმიის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს, დიდ მუშაობას ეწევა არმიის პირადი შემადგენლობის პოლიტიკური და საბრძოლო აღზრდისათვის. ამხანაგი მეხლისი მონაწილეობას იღებს იაპონელ დამპყრობთა განადგურებაში ხასანის ტბასთან და ხალხინ-გოლის რაიონში.

1940 წლის სექტემბერში ლევ ზაქარიას-ძე მეხლისი ინიშნება სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად. ამ პოსტზე იგი აჩაღებს ფართო მოღვაწეობას სოციალისტური კონტროლის განხორციელებისა და საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის, ენერგიულ ბრძოლას ეწევა სახელმწიფო დისციპლინისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ლევ ზაქარიას-ძე მეხლისი, პარტიის გადაწყვეტილებით, იგზავნება საბჭოთა არმიაში. ომის ყველა წელი მან გაატარა ფრონტებზე, როგორც არმიებისა და ფრონტების სამხედრო საბჭოების წევრმა. იგი მიბოვთის ჩვეულ მამაცობას იჩენდა სამშობლოს დაცვაში უცხოელი დამპყრობლებისაგან.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ლევ ზაქარიას-ძე მეხლისი კვლავ სათავეში უდგება სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს და ამ პოსტზე დიდ სახელმწიფოებრივ მუშაობას ეწევა, სანამ მძიმე ავადმყოფობამ, რომელმაც იგი სარეცელს მიაკრა, არ შეწყვიტა მისი მჩქეფარე მოღვაწეობა.

მუშაობის ყველა უბანზე — არმიაში, სახელმწიფო ორგანოებში, პარტიულ აპარატში, პრესაში ამხანაგი მეხლისი დაუშრეტელი ენერგიით და რევოლუციური მგზნებარებით ასრულებდა მისთვის დაკისრებულ საქმეს. მას ცხოვრებაში არა ჰქონდა სხვა ინტერესები, გარდა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის ინტერესებისა.

საკუთარი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელმა, პირდაპირმა და კრისტალურად პატიოსანმა, ლენინ — სტალინის პარტიის ხაზისათვის თანმიმდევარმა მებრძოლმა, მან სიყვარული და კანონიერი პატივისცემა მოიპოვა პარტიისა და ხალხში.

პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე სერიოზული დამსახურებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის და საოდლობის საბრძოლო დავალებათა შესრულებისათვის, სოციალისტური კონტროლის განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობისათვის ლევ ზაქარიას-ძე მეხლისი მთავრობამ არაერთხელ დააჯილდოვა მაღალი ჯილდოებით — საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ამხანაგ ლევ ზაქარიას-ძე მეხლისის, მშრომელთა საქმისათვის თავდადებული მებრძოლის, ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში და მისი ნათელი ცხოვრება მაგალითი იქნება ლენინ — სტალინის პარტიის დიადი საქმისათვის, ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და დიდების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მოსკოვის მშრომელთა სახელით სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვ. კაპიტონოვი.

ამხ. ი. ვ. კ ა პ ი ტ ო ნ ო ვ ი ს სიტყვა

ამხანაგებო!

დღეს ქალაქ მოსკოვის მშრომელნი დიდი მწუხარების გრძნობით უკანასკნელად ეთხოვებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს ლევ ზაქარიას-ძე მეხლისს.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამხანაგმა მეხლისმა მოახმარა საბჭოთა ხალხისადმი სამსახურის დიად საქმეს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

1918 წლის მარტში ამხანაგი მეხლისი შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში და ამ დროიდან, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, მთელ თავის ძალებსა და ორგანიზატორულ ნიჭს ახმარდა ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და მისი ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლას.

სულ სხვადასხვა უბანზე, სადაც კი პარტია გგზავნიდა მას, ლევ ზაქარიას-ძე კომუნისტის მთელი მგზნებარებით ასრულებდა დაკისრებულ საქმეს.

სამოქალაქო ომის წლებში იგი აქტიურ სამხედრო მუშაობას ეწეოდა წითელი არმიის ნაწილებში როგორც სამხედრო კომისარი.

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ამხანაგი მეხლისი მეთაურობდა წითელი არმიის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს, ხელმძღვანელობდა საბჭოთა მეომრების პოლიტიკურ აღზრდას.

როგორც კი დაიწყო დიდი სამამულო ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, პარტიამ იგი კვლავ გაგზავნა სამუშაოდ საბჭოთა არმიაში.

მთელი ომის განმავლობაში იგი იყო ფრონტზე, როგორც არმიებისა და ფრონტების სამხედრო საბჭოების წევრი. საბჭოთა მთავრობამ მას მიანიჭა გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და საბრძოლო დამსახურებისათვის დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ამხანაგ მეხლისს საბჭოთა ადამიანები იცნობენ როგორც საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთ აქტიურ მშენებელს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იგი ხელმძღვანელ მუშაობას ეწეოდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში, ომის წინ ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს, ხოლო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ კვლავ დაინიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრის პოსტზე. ენერგიულად იბრძოდა რა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ამხ. მეხლისი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაკებს უნერგავდა მაღალ მომთხოვნელობას და პოლიტიკურ სიფხიზლეს, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას, შეურიგებლობას უდარდელობის, უზრუნველობისა და დოყლაპიობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი.

კომუნისტები და ყველა საბჭოთა ადამიანი ამხანაგ მეხლისს იცნობენ როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეს.

იგი დიდხანს მუშაობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, რედაქტორობდა გაზეთ „პრავდას“, იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. ამხ. მეხლისი დაუცხრომლად იბრძოდა პარტიის რიგების სიწმინდისა და დარაზმულობისათვის, მისი გენერალური ხაზის განხორციელებისათვის.

მოსკოვის მშრომელნი კარგად იცნობენ ლევ ზაქარიას-ძეს როგორც მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის აქტიურ მონაწილეს. იგი არაერთხელ ყოფილა არჩეული პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრად და მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და საოლქო საბჭოების დეპუტატად.

მძიმე ავადმყოფობამ სარეცელს მიაკრა ამხანაგი მეხლისი, არ აძლევდა საშუალებას უკანასკნელ წლებში წინანდელი ენერგიით მიეღო მონაწ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის საყვარელი მხატვარი

(80 წელი სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მოსე თოიძის დაბადებიდან)

სახალხო მხატვარი

მოსე თოიძე ხალხის საყვარელი მხატვარია. თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომით მან ქართველი ხალხის კულტურას არაერთი ღირსშესანიშნავი მხატვრული ნაწარმოები შესძინა. ოქტომბრის რევოლუციამდელ ქართულ მხატვრობაში იგი ქართული კულტურის დემოკრატიული ტრადიციების ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველი იყო.

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია დიდად აფასებს ქართველ მხატვართა ოჯახის უხუცეს წევრს, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს აკადემიკოს მოსე ივანეს-ძე თოიძეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ მხატვართა აქტივის თათბირზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში აღნიშნა:

„მისდევდა რა ქართველ მხატვართა უფროსი თაობის მაგალითს, თაობისა, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი ოსტატები, როგორც გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე, რომლებმაც ახალ საფეხურზე აიყვანეს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მხატვრული კულტურა, თანამედროვე ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ შეითვისა ქართული და რუსული რეალისტური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები".

მოსე თოიძის ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრება წარმოადგენს ამ შესანიშნავი ტრადიციების შეერთების ნათელ მაგალითს. მისი მასწავლებლის — დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის რეალისტურმა მხატვრობამ, მასთან ერთად ისეთმა იდეურმა მიმართულებამ, როგორიც იყო „პერედვიჟნიკული" მხატვრების მიმართულება, მშრომელთა წიაღიდან მოსულ ახალგაზრდა მხატვარზე დიდი შთამაგონებელი შთაბეჭდილება მოახდინა და ხელი შეუწყო მისი მხატვრობის რეალისტურ საფუძველზე დამკვიდრებას.

მოსე თოიძის ჯერ კიდევ პირველმა დიდმა კომპოზიციამ „მცხეთობამ" საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. აქ ახალგაზრდა მხატვარმა კოლორიტის დიდი გრძნობით, გაბედული ფუნჯით ოსტატურად გამოძერწა თანამედროვე ადამიანთა ტიპიური სახეები და მოგვცა ცხოველი სურათი ქართველი ხალხის ცხოვრებიდან. საკმარისია გავიხსენოთ ამ სურათზე გამოსახული მესტვირე ან ქვაბთან დახრილი მამაკაცის ფიგურა, ან სხვა მრავალი დეტალი, რომ ნათელი გახდეს ის დიდი გავლენა, რომელიც ამ სურათმა მოახდინა ქართული ფერწერის კულტურის განვითარებაზე.

მ. თოიძემ ხალხის ყოფისადმი ღრმა ინტერესის, ხალხის ინტერესებთან სიახლოვის ეს შესანიშნავი ტრადიცია, გ. გაბაშვილთან და ა. მრევლიშვილთან ერთად მოიტანა ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ახალი ძალა შემატა მოსე თოიძის შემოქმედებას და ფართო გასაქანი მისცა მას. იგი დაუცხრომელი ენთუზიაზმით ეხმაურება ჩვენი დიადი ცხოვრების ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენას და დიდი სიყვარულით და მისთვის ჩვეული ოსტატობით ასახავს მათ. ასეთია მისი ფართოდ ცნობილი სურათები: „ამხანაგი სტალინი ესაუბრება გლეხებს წყალტუბოში", „ბედნიერი ცხოვრება", „წერილი ფრონტიდან", „გამარჯვების სიმღერა" და მრავალი სხვა.

მშრომელთა მხატვრული განათლებისათვის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვით აღფრთოვანებული მ. თოიძე სათავეში ჩაუდგა პირველ სახალხო სამხატვრო სტუდიას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული მხატვრობის რევოლუციურ თანამედროვეობასთან დაახლოებაში და საბჭოთა მხატვრების ახალი თაობის აღზრდაში. მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში სწავლობდა საბჭოთა თითქმის ყველა თაობის მხატვარი, რომელთაც მან ჩაუნერგა რეალიზმის საუკეთესო ტრადიციები. თავისი დაუშრეტელი ენერგიით, მუდამ ახალგაზრდული მგზნებარებით იგი აღაფრთოვანებდა თავის მოწაფეებს ხალხის სამსახურისათვის, ხალხთა დაახლოებისათვის. მოსე თოიძე ერთ-ერთი პირველი ინიციატორთაგანი იყო სამხატვრო გამოფენების მოწყობისა მუშათა კლუბებში, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

მ. თოიძე დღემდე ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში, როგორც ფერწერის კათედრის პროფესორი და სიყვარულით გადასცემს ახალგაზრდობას თავის მდიდარ გამოცდილებას და ოსტატობას, უნერგავს მშობლიური ხელოვნების სიყვარულს და პასუხისმგებლობას, რასაც სტალინური ეპოქა აკისრებს საბჭოთა ხელოვანს.

ქართველი საბჭოთა ფერმწერლები ღრმა პატივისცემით ეკიდებიან მოსე თოიძის რეალისტურ ხელოვნებას. მხატვრის ცხოვრება და ის დაუშრეტელი შემოქმედება, რომელიც მან მიუძღვნა თავის ხალხს, წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს მომდევნო თაობისათვის.

მ. თოიძეს ოთხმოცი წელი შეუსრულდა. ამ დიდი დროის მანძილზე მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ხელოვნებისათვის, ბევრი რამ ასწავლა ჩვენს ახალგაზრდა მხატვრებს. ჩვენმა იუბილარმა დაღლა არ იცის, იგი დღესაც, ახალგაზრდული ენთუზიაზმით განაგრძობს შემოქმედებითს მუშაობას.

უჩა ჯაფარიძე,
საქართველოს სახალხო მხატვარი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

ქართული ხელოვნების ვეტერანი

ქართული ხელოვნების ვეტერანს მოსე ივანეს-ძე თოიძეს 80 წელი შეუსრულდა, მაგრამ მისი ენთუზიაზმი, დაუცხრომელი ენერგია, ახალგაზრდული ხალისი დღესაც ყველა ჩვენგანისათვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს.

რევოლუციის პირველი დღიდანვე მოსე თოიძე სიხარულით ეგებება ახალ ცხოვრებას. იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხელოვნება ხალხის მასებს დაუახლოოს. მაგონდება მისი მოძრავი გამოფენები — სპეციალური ვაგონი, რომელსაც საქართველოს ყოველ კუთხეში უდიდესი სიხარულით ეგებებოდნენ მშრომელები.

ფასდაუდებელია მოსე თოიძის ღვაწლი ქართველ მხატვართა ახალი თაობის აღზრდის საქმეში. მისი ფერწერის სტუდიიდან გამოვიდნენ თანამედროვე თვალსაჩინო ქართველი მხატვრები, რომლებიც ამჟამად ქართული სახვითი ხელოვნების წინსვლის საქმეს ემსახურებიან.

საყოველთაოდ ცნობილია მ. თოიძის არაჩვეულებრივად კეთილი გული, მისი გულისხმიერება. მახსოვს დიდი სამამული ომის მძიმე წლებში მოხუცი მხატვარი როგორი ენთუზიაზმით, ახალგაზრდული ძალით ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას. მას ხშირად ნახავდით ჰოსპიტლებში, სადაც ჩვენს გმირ მებრძოლებს არ აკლებდა ზრუნვას.

მაღალმხატვრული ტილოებით და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობით მ. თოიძემ მთელ საბჭოთა კავშირში საყოველთაო სიყვარული და აღიარება დაიმსახურა. ამ მხრივ დამახასიათებელია თვალსაჩინო რუსი მხატვრის, სტალინური პრემიის ლაურეატის შმარინოვის სიტყვები, როცა მან მოსე თოიძის სურათების გამოფენა ნახა: „რა ბრწყინვალე ოსტატი ყოფილა ჩვენი ძვირფასი მოხუცი!".

ჩვენი იუბილარის სურათები, რომელიც გამოფენილია ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის ნათელ დარბაზებში, სრულ წარმოდგენას გვაძლევს ამ შესანიშნავი ოსტატის შემოქმედებაზე და სიამაყის გრძნობით ავსებს ჩვენს გულს.

ვუსურვოთ ჩვენს მხცოვან, მაგრამ მარად ახალგაზრდა მხატვარს კიდევ მრავალი წლის შემოქმედებითი ენერგია და ნაყოფიერი შრომა ჩვენი ხალხის ხელოვნების განვითარებისა და წინსვლისათვის.

თამარ აბაკელია,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

მ. თოიძე. „ბედნიერი ცხოვრება" (1934 წ.) ფოტორეპროდუქცია ვ. ჩერკასოვისა.

მ. ი. თოიძის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო

16 თებერვალს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა მ. ი. თოიძის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

იუბილარის პატივსაცემად მოვიდნენ ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების მოღვაწეები, თბილისის საწარმოთა სტახანოველები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა. საღამოს მონაწილეთა შორის არიან სტუმრები, მოსკოვის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ქუთაისის, სუხუმის, ბათუმის, სტალინირის შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

მთავრობის ლოჟაში არიან ამხანაგები ა. მგელაძე, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი, ი. კოჭლამაზაშვილი, ვ. ბალავაძე, გ. ჯავახიშვილი.

გაჩინაღდნებული სცენის სიღრმეში, ცოცხალ ყვავილებს შორის არის მ. თოიძის დიდი პორტრეტი. მის თავზეა ციფრი „80".

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. ქიაურელი, ა. გიგოშვილი, ვ. კუპრაძე, ო. ეგაძე, გ. ლეონიძე, ა. ჯანელიძე, ვ. თოფურიძე, დ. არაყიშვილი, უ. ჯაფარიძე, ი. გრიშაშვილი, ა. ვასაძე, სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი ა. იარ-კრავჩენკო, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრი მ. სარიანი, რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი ს. გერასიმოვი, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ხალიკოვი, სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. აბეგიანი და სხვები.

საზეიმო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. გიგოშვილმა.

მოხსენება მ. ი. თოიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა შ. ამირანაშვილმა.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ა. იარ-კრავჩენკო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით პროფესორი კ. ერისთავი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის სახელით სტალინური პრემიის ლაურეატი მ. სარიანი, სსრ კავშირის ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისაგან — მოქანდაკე ვ. შიშკოვი, მოსკოველი მხატვრებისაგან — რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი ს. გერასიმოვი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივისაგან — რექტორი პროფესორი ნ. კეკნაველი, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირებისაგან — გ. ხალიკოვი, მ. აბეგიანი, ვ. თოფურიძე, საქართველოს სსრ სამხატვრო აკადემიისაგან — უ. ჯაფარიძე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან — გ. ლეონიძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოებისაგან შ. დადიანი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივისაგან — მექანიკოსი ა. კერავლიშვილი.

საზეიმო საღამოზე ხანგრძლივი ტაშის გრიალში გამოვეყენდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის მისალმება იუბილარისადმი.

გამოქეყენდა აგრეთვე მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც მ. ი. თოიძემ მიიღო მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ესტონეთისა და სხვა მომძე რესპუბლიკების ხელოვნების გამორჩენილი მოღვაწეებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციებისაგან.

მჭუხარე ტაშის გრიალში წაკითხულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მ. ი. თოიძის ლენინის ორდენით დაჯილდოებისა და მისთვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლისათვის მ. თოიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ მ. ი. თოიძეს, რომელმაც სიტყვაში მხურვალე მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, დიდ სტალინს, რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა ხელოვნების განვითარებისათვის და ასე დიდად შეაფასეს მისი შემოქმედებითი შრომა.

საღამოს დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი საქართველოს დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საქმესი).

მ ო ს ე თ ო ი ძ ე

* * *

ქართული საბჭოთა მხატვრობის ფუძემდებელი

დიდია მოსე თოიძის დამსახურება ქართული საბჭოთა ხელოვნების წინაშე. შეგნებული ცხოვრების დაწყების პირველი დღიდანვე მოსე თოიძემ უყოყმანოდ დაუკავშირა თავისი ფერწერული ტალანტი მშობელი ხალხის ინტერესებს. მისი ფერწერა ხალხისათვის ყოველთვის მისაწვდომი, გასაგები იყო. ამაზე დამაჯერებლად მეტყველებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მისი საუკეთესო სურათების გამოფენა. მოსე თოიძის დამსახურება ხელოვნების წინაშე იმაშიც მდგომარეობს, რომ მისი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგად ქართულ საბჭოთა მხატვრობას წლების მანძილზე შეემატა მრავალი ნიჭიერი მხატვარი.

მ. თოიძე ღარიბი გლეხის ოჯახიდან არის გამოსული. ბავშვობა სიღარიბეში გაატარა. მამა ადრე გარდაეცვალა და დედა ინახავდა ოჯახს. 8 წლისა იძულებული გახდა თამბაქოს ფაბრიკაში დაეწყო მუშაობა. 13 წლის მ. თოიძე შედის თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. ამ სასწავლებლის მოსწავლეთა კონტინგენტი ძირითადად მუშებისა და გლეხების შვილებისაგან შედგებოდა. სასწავლებელში ხშირად იდგმებოდა ახალგაზრდული სპექტაკლები, რომელთა უცვლელი მხატვრული გამფორმებელი მ. თოიძე იყო. ამ სპექტაკლებს მოსწავლეები შემდეგ მუშათა რაიონებში აჩვენებდნენ. სახელოსნო სასწავლებელში სწავლის პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე მ. თოიძის მიერ პირველი ქართული პლაკატების და გამოჩენილი ქართველი მწერლების გრაფიკული პორტრეტების შექმნის ცდები.

მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში მოსე თოიძე უახლოვდება მუშათა წრეებს. იგი, როგორც მხატვარი, თანამშრომლობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის „კვალში", რომელიც წარმოადგენდა „მესამე დასის" ყოველკვირეულ ორგანოს. „კვალში" თანამშრომლობა გარკვევით მოწმობს ახალგაზრდა მ. თოიძის შეგნებაში განმტკიცებულ დემოკრატიულ მისწრაფებებს. ამასვე მოწმობს მ. თოიძის მჭიდრო დაახლოება დიდ პროლეტარულ მწერალ მაქსიმ გორკისთან, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა.

1896 წელს მ. თოიძე მიემგზავრება პეტერბურგს. პეტერბურგში მ. თოიძის მხატვრული ნიჭით მოიხიბლა დიდი რუსი მხატვარი ილია ეფვთიმეს-ძე რეპინი. რეპინის შუამდგომლობით მ. თოიძეს იღებენ აკადემიაში. მ. თოიძის ურთიერთობა რეპინთან ამაღელვებელი ფურცელია ჩვენი სახელოვანი მხატვრის ბიოგრაფიაში. სამართლიანი და მკაცრი, როგორც პედაგოგი, რეპინი ამავე დროს მხურვალე მონაწილეობას იღებდა მ. თოიძის პირად ცხოვრებაში, ეხმარებოდა მას, ამხნევებდა. ახალგაზრდა მხატვარმა რეპინის პედაგოგიური მოღვაწეობის პრინციპები იმთავითვე აითვისა და შეისისხლხორცა.

პეტერბურგში სწავლის პერიოდში მ. თოიძე არ წყვეტდა კავშირს საქართველოსთან. ქართველი ხალხი, მისი ისტორია, მისი ყოფა — აი საკითხები, რომლებიც ასაზრდოებდა მის შემოქმედებით ფანტაზიას. მისი პირველი დიდი სურათიც — „მცხეთობა" (1899-1901), რომელმაც მოუხვეჭა მას ფერწერის ოსტატის სახელი, ასახავდა ქართველი ხალხის ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ სურათი დაწერილია საეკლესიო დღესასწაულის თემაზე, მასში საკულტო არაფერია. ეს არის ნამდვილი სახალხო დღესასწაული, გამთბარი ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმით და ჯანსაღი იუმორით. შესანიშნავად არის გადმოცემული სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა სახეები. კომპოზიციას ახასიათებს მთლიანობა და ეპიური თხრობის სიდარბაისლე.

ამ წლებში მხატვრის იდეურ-პოლიტიკური პოზიციის დასახასიათებლად საინტერესოა შემდეგი ფაქტი: იგი მონაწილეობას იღებს ჯერ პოლიტიკურ დემონსტრაციაში, ხოლო შემდეგ სტუდენტთა გაფიცვაში. ამის გამო მას საეტაპო წესით ასახლებენ პეტერბურგიდან. ცარიზმის ხელისუფალთა მიერ დევნამ ვერ შეაყოვნა მისი რწმენა. იგი კვლავ ნაყოფიერად მუშაობს. 1901-1905 წლებს ეკუთვნის მისი „დედის პორტრეტი", „ებრაელი", „მრეცხავი" და სხვა. ამ სურათებში მხატვარი გვევლინება შემოქმედად, რომლის ფერწერა დაფუძნებულია რუსული რეალისტური სკოლის, კერძოდ რეპინის შემოქმედების საუკეთესო ტრადიციებზე.

1915 წელს მ. თოიძე აწყობს თბილისში თავის პირველ ინდივიდუალურ გამოფენას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იწყება ახალი, განუხრელი წინსვლის პერიოდი მ. თოიძის შემოქმედებაში. 1918 წელს იგი წერს სურათს „რევოლუცია", რომლითაც ეხმაურება საბჭოთა რუსეთში მომხდარ ისტორიულ გარდატეხას. ეს სურათი მეშვიდეკლასელებმა გამოფენიდან მოხსნეს და მხატვარი სასტიკად გაკიცხეს. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი ამ სურათის გამომზეურება. 10 წლის მანძილზე ეს შესანიშნავი მხატვრული ტილო ყოველ საზეიმო დღეს გამოფენილი იყო მთავრობის შენობის ფასადზე.

1922 წელს საქართველოში არსდება სამხატვრო აკადემია. ამავე წელს საბჭოთა მთავრობის დახმარებით მ. თოიძე აარსებს საქართველოში პირველ სახალხო სამხატვრო სტუდიას. მ. თოიძის სამხატვრო სტუდია იმ წლების ღირსშესანიშნავი მოვლენაა. სტუდიის არსებობის 6 წლის მანძილზე (1922-1928 წლები) მასში სწავლობდა ძირითადად მუშათა და გლეხთა ფენებიდან გამოსული 680 ახალგაზრდა. სტუდიიდან სამხატვრო აკადემიაში მიღებულ იქნა 82 კაცი, მათ შორის ამჟამად სახელმოხვეჭილი მხატვრები სტალინური პრემიის ლაურეატები: პროფესორები უ. ჯაფარიძე, ს. კაკაბაძე, კ. მერაბიშვილი, მხატვარი კ. სანაძე და სხვები. ამრიგად, ხალხის წიაღში ნიჭიერი ახალგაზრდების გამოძებნისა და სახვითი ხელოვნების ასპარეზზე მათი გამოყვანის საქმე — მ. თოიძის ფასდაუდებელი ღვაწლია ქართული საბჭოთა კულტურის წინაშე.

მ. თოიძის სტუდიამ საქართველოს სხვადასხვა რაიონში 48 გამოფენა მოაწყო. ერთ-ერთი მათგანი მთლიანად ექსპონირებულ იქნა საკავშირო გამოფენაზე: „სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნება".

მ. თოიძის შემოქმედება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალი საფეხურია ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. ჯანსაღი, ოპტიმისტური დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილისადმი — აი რა ახასიათებს მის სურათებს ამ პერიოდში. გამარჯვების პათოსით ყოფილა მისი სურათი „ავამაღლოთ ინდუსტრია" (1928 წ.), „ბედნიერი ცხოვრება" (1934 წ.) და სხვ. ეს ნახატები ჭეშმარიტად ხალხური ნაწარმოებებია.

საქართველოს მხატვრული კულტურის განვითარების ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა გამოფენამ, რომელიც თემატურად დაკავშირებული იყო ლ. პ. ბერიას ნაშრომთან „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". ამხანაგ ლ. პ. ბერიას ამ ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა მ. თოიძის შემოქმედებაზე. მხატვარი ასრულებს სურათს „ამხანაგ სტალინის სიტყვა ს. წულუკიძის დასაფლავებაზე ქ. ხონში 1905 წელს". ეს ნაწარმოები მხატვრის უდავო შემოქმედებითი გამარჯვებაა. სურათის კომპოზიცია იმდენად ადეკვატურია შინაარსისა, რომ სხვანაირი გადაწყვეტა ძნელი წარმოსადგენია. ღრმა მხატვრული გააზრებით არის მოცემული პეიზაჟი. იგი ორგანულად დაკავშირებულია ადამიანთა ფიგურებთან, აძლიერებს სურათის საბრძოლო განწყობილებას.

მოსე თოიძე შემდგომაც განაგრძობს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებზე დიდი ტილოების შექმნას. იგი წერს სურათებს: „სტალინი ბავშვობაში" (1935 წ.), „ახალგაზრდა სტალინის გამოსვლა ქართლში გლეხების დასაცავად" (1936 წ.), „ამხანაგი სტალინი უკითხავს ჭიათურელ მუშებს „კომუნისტურ მანიფესტს" (1936 წ.), „ამხანაგი სტალინი ესაუბრება წყალტუბოში კოლმეურნეებს" (1934 წ.), „ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში" (1937 წ.) და სხვ.

სამამულო ომის წლებში მ. თოიძე საბჭოთა საქართველოს სხვა მხატვრებთან ერთად პირნათლად ასრულებს საბრძოლო-შემოქმედებითს დავალებას. მისი ფუნჯი ემსახურება საბჭოთა ხალხის გამარჯვების საქმეს. 1942 წელს იგი წერს კომპოზიციას „წერილი ფრონტიდან", ხოლო 1943 წელს სურათს „თბილისელი ქალები ამზადებენ საჩუქრებს ფრონტისათვის". ამ სურათმა დიდი მოწონება დაიმსახურა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. ეს არის დიდი განმაზოგადებელი ტილო, აღღერებული ცოცხალი, ხალისიანი ფერებით. მხატვარმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი კომპოზიციური და ფერწერული ოსტატობა, თავისი უსაზღვრო სიყვარული მშობლიური ქვეყნისადმი. ამიტომაც ხალხმა ეს სურათი მიიღო, როგორც საკუთარი გულისთქმის შთაგონებული გამოძახილი.

დამთავრდა სამამულო ომი. საბჭოთა ხალხმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა კულტურისა და პროგრესის უბოროტეს მტერს — გერმანულ ფაშიზმს. დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება, შენება, წინსვლა. მ. თოიძე წერს სურათს „გამარჯვების სიმღერა" (1948 წ.).

ეს მხცოვანი მხატვრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. სხვა საუკეთესო ნაწარმოებებთან ერთად მას ღირსეული ადგილი უჭირავს საბჭოთა ხელოვნების საგანძურში.

მ. თოიძეს დაბადების დღიდან 80 წელი შეუსრულდა. პარტიამ და ხელისუფლებამ დიდად დააფასა მხატვრის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე — მას მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდება და დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ქართველი ხალხი მ. თოიძეს სამართლიანად თვლის სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლად ქართულ მხატვრობაში — იმ გზის პირველ გამკვლევად, რომლითაც ამჟამად მიდის ქართული საბჭოთა მხატვრობა.

მ. ქვლივიძე,
თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტი.

საზეიმო სხდომა პეკინში

ლიუ შაო-ცის მოხსენება

პეკინი, 14 თებერვალი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ პეკინში ხუაიენტანის დარბაზში გაიმართა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიერ მოწვეული საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მესამე წლისთავს. დარბაზში იყვნენ ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, დემოკრატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, შრომის გმირები, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გმირები, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, საბჭოთა სპეციალისტები — სულ 1.300-ზე მეტი კაცი. სცენაზეა ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის, მაო ძე-დუნისა და სუნ იატ-სენის პორტრეტები, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები.

სხდომის პრეზიდიუმში ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარის ლიუ შაო-ცის, ჯოუ ენ-ლაის, ჯუ დეს, უ იუი-ჯანის, ცაან ძიუნ-ჟუის, ლი ძი-შენის, გო მო-ჟოს, ხუან იან-პეის, საბჭოთა კავშირის ელჩის ჩინეთში ი. ს. პანიუშკინისა და სხვების გამოჩენას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. საზეიმო სხდომა გახსნა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ გო მო-ჟომ.

ვრცელი მოხსენება ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მესამე წლისთავის შესახებ გააკეთა ლიუ შაო-ცის.

ლიუ შაო-ცის თავის მოხსენებაში თქვა, რომ მთელი ჩინელი ხალხი, აგრეთვე მთელი საბჭოთა ხალხი მთელი მსოფლიოს მთელ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობასთან ერთად ერთსულოვნად აღნიშნავს ამ დღეს.

ამ დიადი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, თქვა ლიუ შაო-ცის, სამმა წელმა განვლო. ამ სამი წლის ფაქტებმა სავსებით დაადასტურა, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა კავშირი და მეგობრობა, რაც ამ ხელშეკრულებამ განამტკიცა, უფრო გაიზარდა და გაძლიერდა. ამ კავშირსა და მეგობრობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის კეთილდღეობისათვის, არამედ აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მეგობრობის გამარჯვების საქმისათვის.

ყველამ იცის, თქვა შემდეგ ზემოხსენებელმა, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ძირითადი მიზანი ის არის, რომ ერთობლივად შევუშალოთ ხელი იაპონიის იმპერიალიზმის აღორძინებას და აგრესიის გამეორებას იაპონიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც რაიმე ფორმით გაერთიანდებოდა იაპონიასთან აგრესიის აქტებში.

სამი წლის წინათ ზოგიერთს ეგონა, რომ იაპონიის იმპერიალიზმის აღორძინება და აგრესიის გამეორება იაპონიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც იაპონიასთან გაერთიანდებოდა აგრესიის აქტებში, მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

ამიტომ მეტად სერიოზული არსებითი საქმეა ხელი შევუშალოთ იაპონიის იმპერიალიზმის აღორძინებასა და აგრესიის გამეორებას იაპონიის თუ რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც მასთან რაიმე ფორმით გაერთიანდებოდა აგრესიის აქტებში. სწორედ ამიტომ, თქვა შემდეგ ლიუ შაო-ცის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის კავშირსა და მეგობრობას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში.

აღნიშნა რა შემდეგ, რომ ხელშეკრულებამ დიდი გავლენა მოახდინა ორივე ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის სწრაფ განვითარებაზე, ლიუ შაო-ცის თქვა, რომ საბჭოთა კავშირმა უდიდესი ტექნიკური დახმარება გაუწია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

მოიყვანა რა შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განმტკიცების კონკრეტული ფაქტები, ლიუ შაო-ცის თქვა: „ეს ფაქტები ნიშნავს, რომ ორი ქვეყნის — ჩინეთისა და სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობა დიდად განვითარდა და მომავალშიც განუხრელად განვითარდება“.

ყოველივე ზემოაღნიშნული, თქვა შემდეგ ლიუ შაო-ცის, იმას მოწმობს, რომ ორი დიდი ქვეყნის — სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა ერთიანობა და მეგობრობა, რაც ხელშეკრულებით არის განმტკიცებული, გასულ სამ წელიწადში დიდად განვითარდა და მომავალშიც განუწყვეტლივ განვითარდება. ეს ერთიანობა და მეგობრობა სამარდისო და ურღვევია და მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მათი დარღვევა. ისინი უძლეველი არიან.

საბჭოთა კავშირი, განაგრძო ლიუ შაო-ცის, ნამუშევი ჩინელი ხალხისათვის, მისი მასწავლებელია; საბჭოთა კავშირის მიერ განვლილი გზა არის ის გზა, რომლითაც ახლა ჩინელი ხალხი მიდის და რომლითაც იგი კვლავაც ივლის. დღეს როცა ჩინელი ხალხი მიესალმება ჩინეთისა და სსრ კავშირის მეგობრობისა და კავშირის შემდგომ განმტკიცებას, მან ამოცანად უნდა დაისახოს ასწავლოს საბჭოთა კავშირისაგან.

წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შევიდა დიდი გეგმიანი მშენებლობის ეტაპში. ამ მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ჩინელმა ხალხმა გულმოდგინედ უნდა ასწავლოს საბჭოთა კავშირისაგან, ეს სწავლა და საბჭოთა მოწინავე გამოცდილების დანერგვა უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ქვეყნის მშენებლობის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად.

ამიტომ ყველა დაწესებულებაში, ყველა ორგანიზაციაში, ყველა ქარხანაში, ყველა სასწავლებელში, ყველა სოფელში — ყველგან მაო ძე-დუნის მითითების შესაბამისად კეთილსინდისიერად უნდა გავაჩაღოთ მოძრაობა საბჭოთა კავშირისაგან სწავლისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშენებლობის სასარგებლოდ.

შემდეგ ილაპარაკა რა ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალების დიდ მნიშვნელობაზე, ლიუ შაო-ცის თქვა, რომ მათ განუზომელი დახმარება გაუწიეს ჩინელ ხალხს თავისი ქვეყნის მშენებლობის საქმეში.

ლიუ შაო-ცის თავისი მოხსენების დასასრულს თქვა, რომ „ორი ქვეყნის — სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხების მეგობრობაზე, ერთიანობასა და მჭიდრო თანამშრომლობაზე დაყრდნობით ჩვენ აუცილებლად ჩავშლით იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს“.

დასასრულ ლიუ შაო-ცის გამარჯვება უსურვა სსრ კავშირისა და ჩინეთის დიდ და ურღვევ მეგობრობასა და კავშირს, ჩინელი ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ მაო ძე-დუნს, ჩინელი ხალხის ყველაზე საყვარელ მეგობარს, მთელი მსოფლიოს შრომელთა ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

ა. ს. პანიუშკინის სიტყვა

შემდეგ სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის ელჩს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ს. პანიუშკინს, რომელმაც თქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებამ ახალი ეპოქა დაიწყო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიდ ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში. მან დასაბამი მისცა ახალ ეტაპს საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში, რადგან საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულებამ სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობა გადააქცია ისეთ მძლავრ და დიდ ძალად მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში, რომლის ბადალი არ არის და არც ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, ხაზგასმით აღნიშნავს პანიუშკინი, მხარს უჭერს მთელი მშვიდობისმოყვარე და პროგრესული კაცობრიობა, რომელიც სულ უფრო რწმუნდება, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა და კავშირი მძლავრი ძალაა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დასასრულ პანიუშკინმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხების სამარადისო, ურღვევ მეგობრობასა და ძმურ კავშირს, დიდი ჩინელი ხალხის ბელადს მაო ძე-დუნს, დიდი საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადს დიდ სტალინს.

ბო ი-ბოს მოხსენება

მოხსენება დახმარების შესახებ, რომელსაც სსრ კავშირი უწევს ჩინეთს ეკონომიკურ მშენებლობაში, გააკეთა სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს წევრმა ბო ი-ბომ, რომელმაც განაცხადა, რომ ახლა, როცა აღინიშნება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მესამე წლისთავი, საჭიროა გულწრფელი მადლობა ვუძღვნათ ყველა საბჭოთა სპეციალისტს, რომლებიც ჩამოვიდნენ, რათა თავდადებული და დაუღალავი შრომით გაგვიწიონ დახმარება ჩინეთის ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში. „ჩვენ, — ამბობს ბო ი-ბო, — გულწრფელი მადლობა უნდა ვუძღვნათ დიდ სტალინს და საბჭოთა მთავრობას“.

მოწინავე საბჭოთა გამოცდილების შეხამება ჩინელი ხალხის მასების აქტივობასთან, ხაზგასმით აღნიშნა ბო ი-ბომ, ისეთ სასწაულებს ახდენს ჩინეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რომლებზეც წინათ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

მშენებლობის ჩვენი ხუთწლიანი გეგმა, თქვა ბო ი-ბომ, ეს არის ახლა დაიწყო. ჩვენ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლოთ საბჭოთა კავშირისაგან. ამჟამად ჩვენ ვასრულებთ თავმჯდომარის მაო ძე-დუნის მითითებებსა და მოწოდებას — „საბჭოთა კავშირისაგან სწავლის საქმე საერთოეროვნული მასშტაბით უნდა მოვაწყოთ“. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენ, თქვა დასასრულ ბო ი-ბომ, საბჭოთა ხალხისაგან უნდა ვისწავლოთ არა მარტო სახელმწიფო მშენებლობის მისი გამოცდილება, მისი მოწინავე ტექნიკა, არამედ უფრო მეტად ინტერნაციონალიზმის მისი დიადი სულისკვეთება, რათა მუდამ მზად ვიყოთ მთელი ჩვენი ძალა და ნიჭი მოვახმაროთ იმ მოძმე ქვეყნებისადმი დახმარების საქმეს, რომლებსაც ეს დახმარება ესაჭიროებათ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის იმ ბანაკის განმტკიცების საქმეს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში საბოლოო გამარჯვების მოახლოებას.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი დეპეშა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

დასასრულ გაიმართა ჩინელ მსახიობთა დიდი კონცერტი.

დარბაზობა სსრ კავშირის პეკინის საელჩოში

პეკინი, 14 თებერვალი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის პეკინის საელჩოში დარბაზობა გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მესამე წლისთავის გამო.

დარბაზობას დაესწრნენ ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ჯუ დე, გაო განი, ლი ძი-შენი, ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს გენერალური მდივანი ლინ ბო-ძიუი, სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილეები დუნ ბი-უ, გო მო-ჟო, ხუან იან-პეი, აგრეთვე ცენტრალური სახალხო მთავრობის სხვა წევრები, დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები და დიპლომატიური კორპუსის წევრები. სულ დაესწრო 500-ზე მეტი კაცი.

საბჭოთა კავშირის ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ს. პანიუშკინმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯუ დემ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დარბაზობამ გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1953 წლის ბიუჯეტის დამტკიცება

პეკინი, 13 თებერვალი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს გუშინდელ 23-ე სხდომაზე დამტკიცდა ჩინეთის 1953 წლის ბიუჯეტი.

ფინანსთა მინისტრმა ბო ი-ბომ გააკეთა მოხსენება 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომელიც საბჭომ განხილვის შემდეგ ერთსულოვნად მოიწონა.

სხდომას დაესწრნენ ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი, მისი მოადგილეები და ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს წევრები. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის წევრები, ცენტრალური სახალხო მთავრობის წევრები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჩეხოსლოვაკიის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პირველი ყრილობა

პრაღა, 15 თებერვალი. (საკდესი). გუშინ პრაღაში მრეწველობის სასახლეში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრთა პირველი ყრილობა. ყრილობას ესწრება 4.200-ზე მეტი დელეგატი.

სასახლის დარბაზი სადღესასწაულოდ მორთულია რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პორტრეტებით, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფო ალმებით, ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო მიწათმოქმედთა და სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა პორტრეტებით.

ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანტონინ ზაპოტოცკიმ.

შემდეგ ყრილობაზე გამოვიდა სოფლის მეურნეობის მინისტრი იოზეფ ნეპომუცკი, რომელიც დაწვრილებით შეეხო ჩეხოსლოვაკიის სოფელში კოოპერაციული მოძრაობის განვითარებას. მან აღნიშნა, რომ 1950 წლის 31 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიაში იყო 5.115 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. 1952 წელს მათი რიცხვი 8.858-ს უდრიდა.

მომხსენებელმა აგრეთვე მოიყვანა ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიწის ფართობის ზრდას. 1950 წლის 31 დეკემბრისათვის ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ჰქონდათ 816.059 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, ხოლო 1952 წლის 31 დეკემბერს ისინი აერთიანებდნენ 1.859.987 ჰექტარ სახნავ-სათეს მიწას. ჩეხოსლოვაკიის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მთელი მიწის ფართობი შეადგენს 2,5 მილიონ ჰექტარს.

ამ წლების მანძილზე გაძლიერდა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. 1952 წელს მტს-ებმა შეასრულეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მთელი სამუშაოს 75,4 პროცენტი.

შემდეგ ნეპომუცკიმ აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიაში მნიშვნელოვნად გადიდდა მოსავლიანობა, აგრეთვე განვითარდა მეცხოველეობა. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საორგანიზაციო-სამეურნეო საკითხებს.

შემდეგ ნეპომუცკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კოოპერაციული მოძრაობის შემდგომი გაფართოება და კულაკობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა.

იოზეფ ნეპომუცკიმ თავისი მოხსენება დაამთავრა დამსწრეთა ტაშის გრიალში და გამარჯვება უსურვა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სამარადისო მეგობრობას და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს დიდ სტალინს.

ნეპომუცკის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 14 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ გასული დღის განმავლობაში სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ საარტილერიო ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლი-სინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

გუშინ ღამით ამერიკელთა „ბ-29“ ბომბდამშენებმა კვლავ ბარბაროსულად დაბომბეს მშვიდობიანი დასახლებული რაიონები ფხენიანის მახლობლად, სადაც არ არის არავითარი სამხედრო ობიექტი.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი.

ფხენიანი, 15 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 6 თვითმფრინავი.

ნერუს განცხადება ინდოეთის პარლამენტში

დელი, 14 თებერვალი. (საკდესი). 13 თებერვალს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, უპასუხა რა შეკითხვაზე ინდოეთის პარლამენტში ეგრეთწოდებული „შუა აღმოსავლეთის თავდაცვითი ორგანიზაციის“ შესახებ, განაცხადა, რომ „ინდოეთის მთავრობა ინტერესს იჩენს ამ საკითხისადმი და შეშფოთებით ადევნებს თვალყურს მასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენას“.

სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს წევრის სუნდერარაჯის განცხადება

დელი, 15 თებერვალი. (საკდესი). სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს წევრმა და პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის ცნობილმა წევრმა პანდიტ სუნდერლალმა შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„შექმნილ პირობებში დედამიწის ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანის წმიდა მოვალეობაა მთელი შესაძლო როგორც სულიერი, ისე მატერიალური დახმარება გაუწიოს დიდ ჩინელ ხალხსა და მის მთავრობას. მე ელოცულობ და მილიონობით სხვა ადამიანთან ერთად იმედი მაქვს, რომ ამერიკელი ხალხი ახლაც კი შეძლებს გამოფხიზლდეს და იხსნას თავისი ქვეყანა ამ საშინელი დანაშაულის სირცხვილისაგან. მე აგრეთვე ვლოცულობ და იმედი მაქვს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, კერძოდ აზიის ქვეყნების მთავრობები, და განსაკუთრებით ჩემი ქვეყნის მთავრობა, არ დაუშვებენ იმას, რომ ისინი გახდნენ კაცობრიობის წინააღმდეგ ამ დანაშაულის თანამონაწილენი“.

მიწისძვრა ირანში

თეირანი, 15 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბახტარე ემრუზი“ იუწყება, უკანასკნელი ცნობებით, ძლიერი მიწისძვრის შედეგად, რომელიც 5 წუთს გაგრძელდა, 12 თებერვალს 11 საათსა და 45 წუთზე ქალაქ სემნანის აღმოსავლეთით დაინგრა სოფლები ტარუდი, ბიდესტანი, აბადსეკუ. სოფელ ტარუდში, სადაც 1.400 მცხოვრები იყო, დაიღუპა 928 და დაიჭრა 180 კაცი; სოფელ ბიდესტანში 400 მცხოვრებიდან დაიღუპა 12 და დაიჭრა 8; სოფელ აბადსეკუში 500 მცხოვრებიდან დაიღუპა 8 და დაიჭრა 23. გარდა ამისა, ძლიერ დაზარალდნენ სოფლები მოალემანი და ჰოსეინია.

მსოფლიო პირველობა ციგურაებით ჩქარ რბენაში

ჰელსინკი, 14 თებერვალი. (საკდესი). დღეს ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე დაიწყო ჩქარი ციგურაობის მსოფლიო პირველობის გათამაშება. გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ინგლისის, ავსტრიის, ფინეთის, ჰოლანდიის, შვეიცარიის და ნორვეგიის უძლიერესი მოციგურაველები.

შეჯიბრება გახსნა ფინეთის სეიმის თავმჯდომარემ ფაგერჰოლმმა, რომელმაც მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა შეჯიბრების მონაწილეთ. შემდეგ დაიწყო რბენა 500 მეტრ დისტანციაზე.

ამ დისტანციაზე შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა სალონენმა (ფინეთი), მეორე ადგილი — შილკოვმა (სსრ კავშირი), მესამე ადგილი — ჩაიკინმა (სსრ კავშირი), მეოთხე — ჰოდტმა (ნორვეგია), მეხუთე — გონჩარენკომ (სსრ კავშირი).

ჰელსინკი. 14 თებერვალი. (საკდესი). აქ მიმდინარეობდა შეჯიბრება 5.000 მეტრი დისტანციის გარბენაში.

შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ საუკეთესო შედეგი აქვს გონჩარენკოს — 94,700 ქულა. მან დაამყარა სტადიონის ახალი რეკორდი. გარბენის შემდეგ მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ მას.

ჰელსინკი, 15 თებერვალი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში ოლიმპიურ სტადიონზე გრძელდებოდა შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე ციგურებით ჩქარ რბენაში. ამ დღეს სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 1.500 და 10 ათასი მეტრის გარბენაში.

შეჯიბრება 1.500 მეტრ [illegible] პირველი ადგილი დაიკავა შილკოვმა (სსრ კავშირი) — 2 წუთი [illegible] (ნორვეგია), მეორე — გონჩარენკომ (სსრ კავშირი) — 2 წუთი და 19,0 წამი (სტადიონის ახალი რეკორდი) და მესამე — ვან დერ ვოორტმა (ჰოლანდია) — 2 წუთი და 19,1 წამი.

10.000 მეტრ დისტანციის გარბენაში მონაწილეობას იღებდნენ მოციგურავეები, რომლებმაც პირველი 12 ადგილი დაიკავეს 5 ათას მეტრ დისტანციაზე რბენაში, მათ შორის სამი საბჭოთა მოციგურავე — გონჩარენკო, შილკოვი და სახაროვი.

10.000 მეტრზე რბენაში საუკეთესო დრო უჩვენა გონჩარენკომ (სსრ კავშირი) — 17 წუთი და 22,2 წამი.

ოთხი დისტანციის შემდეგ გონჩარენკომ (სსრ კავშირი) მოაგროვა 193,143 ქულა, შილკოვმა (სსრ კავშირი) 194,508, ვან დერ ვოორტმა (ჰოლანდია) — 195,522, ბროკმანმა (ჰოლანდია) — 197,268, ჰაუგლიმ (ნორვეგია) — 197,503.

სტადიონზე ათასობით მაყურებელი აღფრთოვანებით მიესალმა გონჩარენკოს ბრწყინვალე გამარჯვებას. მან მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სპატიო წოდება, ცხადყო ციგურებით ჩქარი რბენის მაღალი კლასი, საბჭოთა სპორტის უპირატესობა.

უკანასკნელი წყვილის გარბენის შემდეგ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ბლუმკვისტმა მრავალი ათასი მაყურებლის მისასალმებელ შეძახილებსა და ტაშის გრიალში ჩემპიონის დაფნის გვირგვინით შემოსა შეჯიბრებაში გამარჯვებული ოლეგ გონჩარენკო. გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი. 1953 წლის მსოფლიო ჩემპიონი ციგურებით ჩქარ რბენაში გონჩარენკო უვლის საპატიო წრეს.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 13 თებერვალი. (საკდესი). ბუქარესტის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-12 ტურში პირველი დამთავრდა ტოლუმ (სსრ კავშირი) — ტროიანესკუს (რუმინეთი) პარტია. 37-ე სვლაზე ტროიანესკუმ დამარცხებულად ცნო თავი.

რეიხერ (რუმინეთი) — სმისლოვის (სსრ კავშირი) პარტიაში პარტნიორები ყაიმზე შეთანხმდნენ.

45-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბოლესლავსკი (სსრ კავშირი) — გოლომბეკის (ინგლისი) პარტია. შტოლც (შვეიცია) — პეტროსიანის (სსრ კავშირი) პარტია გადაიდო.

სლივა (პოლონეთი) — სპასსკის (სსრ კავშირი) პარტიაში სლივამ მოიგო ლაზიერი ორ მსუბუქ ფიგურაში და 32-ე სვლაზე გამარჯვება მოიპოვა.

ბარცა (უნგრეთი) — ჩოკოლტიას (რუმინეთი), ფილიპ (ჩეხოსლოვაკია) — ლ. საბოს (უნგრეთი), შ. საბო (რუმინეთი) — მილევის (ბულგარეთი), შაიტარ (ჩეხოსლოვაკია) — რედფულესკუს (რუმინეთი) პარტიები გადაიდო.

ო'კელმ (ბელგია), რომელიც ბარდასთან (ნორვეგია) თამაშობდა, გაიმარჯვა 42-ე სვლაზე.

12 ტურის შემდეგ წინ აღიარა ბოლესლავსკი და ტოლუში, რომელთაგან თვითეულს 8,5 ქულა აქვს, შემდეგ — პეტროსიანი და ლ. საბო (უნგრეთი) — 7½ ქულა და სმისლოვი — 7 ქულა.

საბჭოთა სპორტსმენები—სტუდენტთა X მსოფლიო საზამთრო ასპარეზობის მონაწილენი

23 თებერვალს ავსტრიაში იხსნება სტუდენტთა ტრადიციული X მსოფლიო საზამთრო ასპარეზობა, რომელსაც აწყობს სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი. ასპარეზობის პროგრამაშია შეჯიბრება სათხილამურო, სამთო-სათხილამურო და ციგურაობის სპორტში, ფიგურულ ციგურაობასა და ხოკეიში.

საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით სტუდენტთა X მსოფლიო საზამთრო ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებმა.

საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ციგურაობის, სათხილამურო, სამთო-სათხილამურო სპორტისა და ხოკეის ოსტატთა შეჯიბრებებში.

ლექცია, მოხსენება, კონსულტაცია

კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში 17 თებერვალს საღამოს 8 საათზე მომხსენებლებისათვის საინსტრუქციო მოხსენებას საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 35 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32 წლისთავის შესახებ წაიკითხავს ამხ. მ. იაროვა. მოხსენება წაკითხულ იქნება რუსულ ენაზე.

17 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში შედგება ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“. ლექციას წაიკითხავს დოცენტი ი. ტაბაღუა.

ამავე დღეს საღამოს 8 საათზე კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებისათვის მოეწყობა კონსულტაცია საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 35 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32 წლისთავის შესახებ. კონსულტანტი ამხ. ვ. მამაცაშვილი.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

საქართველოს რადიოგადაცემათა 18 თებერვლის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — სიმღერები მოსკოვზე; 09.20 — ჩუვაშური სიმღერები; 12.15 — სიმფონიური მინიატიურები; 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები; 17.15 — კომპოზიტორ ა. ხაჩატურიანის პოემა სტალინზე; 17.40 — ბავშვთა მოსწავლეთათვის — „ბუნების თავისებურებანი“; 18.20 — კონცერტი კომპოზიტორ ბიზეს ნაწარმოებებიდან; 19.20 — ნაწყვეტები ოპერებიდან; 19.45 — საუბარი საარჩევნო თემაზე; 20.30 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის (სადგურებით); 20.30 — საფორტეპიანო მუსიკა (თბილისის საქალაქო ქსელით); 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 21.00 — საუბარი სოციალისტური მრეწველობის ზრდის ტემპები მეხუთე ხუთწლედში; 22.45 — მაქსიმ გორკის მოთხრობა „მარილზე“; 23.15 — პოპულარული მუსიკის კონცერტი; 00.05 — სიმფონიური მუსიკა.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

18 თებერვალს	ზ. ფალიაშვილი — **დაისი**
19 თებერვალს	დ. როსინი — **სევილიელი დალაქი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შვილები მათიკო, ირინე, სიძეები ნიკოლოზ ხახუტაშვილი, იოსებ მონცელიძე, შვილიშვილები აპოლონ, ნინო, გია იუწყებიან **ნინო გრიგოლის ასულ ტყემალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-II, 8 ს. გამოსვენება 19-II, 5 ს. კალინინის